

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0321—1509

# საქართველოს ქალი

9
1983

# გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელები.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა ბარათაშვილი

*XIV პლენუმის გადასახედიდან*

# მასწავლებელი

„იმისგან, თუ როგორი იყო მისი ბავშვობა, ვისთან ხელჩაკიდებულმა განვლო ბავშვობის წლები, რამ შეაღწია გარემომცველი სამყაროდან მის ცნობიერებასა და გულში, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, როგორ ადამიანად იქცევა დღევანდელი პატარა“.

ვ. ა. სუხომლინსკი.

ჩვენი ბავშვობა კი დედის მკერდთან იწყება. დედაა ჩვენთვის ცხოვრების ანბანის პირველი მასწავლებელი, დედის თვალებით ალვიქვამთ გარემოს, მშობლებთან ხელჩაკიდებული მივდივართ კარის ზღურბლთან, რომლის მიღმა დიდი, საოცარი სამყაროა გაშლილი.

ბავშვი ამ სამყაროს ჯერ ზღაპრებით ეცნობა — ზღაპრებით, სადაც კეთილი უეჭველად სძლევს ბოროტს — კეთილის დამამკვიდრებელი გმირი კი თვითვეა სასწაულებრივ უშიშარი და ღონიერი. ამ ბრძოლაში მას იქნებ ცხრა მთისა და ზღვის გადალახვაც დასჭირდეს. ცხრათავიან დევებთან შებმაც, მაგრამ ბუნების ძალებიც ხომ სიკეთისა და სამართლიანობის ქომაგნი არიან. აი, დასჭირდა გმირს ზღვა, — გადაღვარა ერთი კოვზი წყალი და გაჩნდა ზღვა; ინატრა უღრანი ტყე, — გადააგდო სავარცხელი და გაჩნდა ტყე. კლდეებიც კი გმირის საშველად ადგილიდან დაიძვრებიან და ბოროტის წინ შეუვალ კედლად აღიმართებიან. ამ, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი რწმენით დაატარებს პატარა ბიჭი ჯოხიდან გამოჩიკნილ ხმალს, გოგონა კი, — ზღაპრული ფერია ციცინათელებით ივსებს უბეს, რომ შუქად და სიკეთედ ჩამოარიგოს.

ნუ, ნუ დავურღვევთ პატარას მის ზღაპრულ კოშკს, გავულვივოთ სიკეთის გამარჯვებისათვის ბრძოლის ნყურვილი, ჩაგრულთ სიბრალული, კაცთმოყვარეობა, კეთილის გამარჯვების რწმენა; განვუმტკიცოთ შრომის, ამ ყველაზე დიდი სასწაულმოქმედისადმი პატივისცემა.

აბა, დააკვირდით პატარას, რა მონდომებით ასრულებს თქვენს დავალებას, როგორ სწადია თავის გამოჩენა, რარიგ თვალგაბრწყინებული უსმენს თქვენს შექებას — ეს ხომ ბავშვში კაცურკაცობის გაღვივების პირველი ნიშნებია!

როდესაც ბავშვი თავისი პატარა ხელებით ასწორებს საკუთარ საწოლს, ალაგებს თავის კუთხეს, ეხმარება დედას საოჯახო საქმიანობაში, ანდა სიყვარულით აწვდის წყალს ოთახისა თუ ეზოს ყვავილებს, მარგლავს — იცავს ბოსტანს სარეველას „შემოსევისაგან“, თავს დასტრიალებს სათუთ ნარგავებს, ანდა უვლის, კვებავს, მფარველობს უმწეო ნიწილებს, კნუტებსა თუ ლეკვებს, ნუ გამოსტაცებთ საქმეს ხელიდან, ნუ დასცინებთ, უხეშად ნუ შეიჭრებით მის კეთილ სამეუფეოში! ამით ხომ პატარა თავის თავში ზრდის და ანმტკიცებს შრომის სიყვარულს, მშობლის გარჯის პატივისცემას, ბუნებისა და უმწეო არსებების დაცვის სურვილს — ყველა იმ გრძნობას, რაც სწორი გზით წარმართავს შემდგომ მის სასიცოცხლო ძალებს, აყალიბებს ღირსებებს, რომლებიც პირველ რიგში თავადვე და შემდგომ მის მშობლებსა და საზოგადოებას სასიკეთოდ გამოადგება.

ამას წინათ ერთ ოჯახში მშობლების სიამაყე, პატარა გიორგი გავიცანი. 3-4 წლის მკვირცხლმა ბიჭუნამ ლექსების კითხვით გაგვართო, იმღერა, იცეკვა. შევაქე. ბავშვმა თავი მოი-

ნოზა და დედამისს რომ ჩემს გასამასპინძლებლად ხილი გამოჰქონდა, ხელზე წაეტანა, რომ ერთი თეფში მაინც დაედგა მაგიდაზე. დედამ არ დაანება, რა ბიჭის საქმეა მაგიდის გაწყობაო, „რას შვრები, ბიჭო, გოგო ხარ? თავს მჭრი?“ — გაეხუმრა მამა. მცირე ხნის შემდეგ, პატარამ, ალბათ თავისი ვაჟკაცობის დასამტკიცებლად, კნუტს კუდში ხელი წაავლო და ყოჩაღად დაატრიალა. გამწარებული კნუტი თავდაცვაზე გადავიდა, თითზე მისწვდა. მგონი არც უკბენია, მაგრამ ბიჭი შეშინდა და ალრიალდა. დაფეთებულმა დედამ გულში ჩაიკრა. აი, მე მართლა გოგოო, — გაეხუმრა მამა და რომ დაეწყნარებია, ხელში პატარა ჯოხი მისცა „დამნაშავის“ დასასჯელად, ბავშვმა კნუტი რომ დასაჯა, შემდეგ ის ჯოხი დედ-მამას მოუღერა. ბიჭის გამოდარებით გაბედნიერებული მშობლები გულიანად იცინოდნენ.

გულდამძიმებული წამოვედი იმ ოჯახიდან. მსგავს სცენებს, ალბათ ბევრი თქვენგანიც შესწრებია, ჩვენო მკითხველო, და წარმოიდგინეთ, რაოდენ ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელიც სკოლისათვის, აღმზრდელისათვის ამგვარი ბავშვების სწორ გზაზე დაყენება.

„მე განსაკუთრებული ვარ! ჩემთვის ყველაფერი შეიძლება!“ — ამ პრეტენზიით შედის ცხოვრებაში ზოგიერთი „სათბურში“ გაზრდილი პატარა. მაგრამ საკმაოა ატმოსფეროს მცირე შეცვლა, — შეეხოს მცირე სუსხიც მის ანემიურ, გაუკაჟებელ სხეულს, რომ ბავშვმა წონასწორობა დაჰკარგოს.

ეჭვს გარეშეა, რომ მეტად რთული და საპასუხისმგებლოა მშობლის ის პირველი გაკვეთილები, რომლებიც უთუოდ „ცხოვლად სულს დააჩნდების“... რა სიფრთხილეს, რარიგ რუდუნებით დამუშავებას მოითხოვს ყოველი უმცირესი ნაწილაკიც კი იმ ძვირფასი მასალისა, რომლითაც ჩვენს პირმშოს — მომავალ პიროვნებას ვაყალიბებთ. სამწუხაროდ, ხან ჩვენი ამოცანების შეუგნებლობისა, ხან მოუცლელობის, ხანაც დაუდევრობის გამო ყველა მშობელი ვერ უწევს ბავშვს ღირსეულ მეგზურობას.

ცხადია, მომუშავე დედას დროც არ ჰყოფნის და ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ მან მაქსიმალური დრო და ენერგია მოახმაროს შვილების აღზრდას, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ მრავალშვილიან ოჯახში, კოლექტივიზმის, ურთიერთ დახმარების, შრომის სამართლიანი გადანაწილების ატმოსფეროში ბავშვი უკეთ და უფრო ადვილადაც იზრდება, ვიდრე დედისერთა.

მაგონდება ზუგდიდის რაიონის მეჩაიის, გმირი დედის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მ. სვირიას გამოსვლა ერთერთ სესიაზე: „ათი შვილის დედა ვარ, ათივეს შრომის სიყვარულით ვზრდიდი“ — ამაყად განაცხადა მან ტრიბუნიდან — თითქო ყველას მიმართა, გამეჯიბრეთო შვილების აღზრდაში, შრომისა და სამშობლოს სიყვარულში.

მოგვიანებით, როდესაც ზუგდიდელ მრავალშვილიანთა ცხოვრებას გავეცანი, ჩემთვის ნათელი გახდა, როგორ ახერხებენ ისინი თავიანთი უამრავი მოვალეობის შეთავსებას — უთუოდ ოჯახისათვის თავდადებული მამების თანდგომითა და ჭეშმარიტი პატრიოტების, რაიონის გულმხურვალე ხელმძღვანელების დახმარებით. სამწუხაროდ, ამ თვისებებით ყველა საწარმოსა თუ დაწესებულების მესვეური ვერ დაიკვეხნის.

დიდი ხანი არ გვაშორებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმებს, იდეოლოგიური მუშაობის თაობაზე რომ გაიმართა.

პლენუმის ყურადღების ცენტრში ადამიანის ჰარმონიული აღზრდის: — იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ესთეტიკურ-ეთიკური, ფიზიკური წრთობის პრობლემები იდგა.

„ივნისის პლენუმის მთელი მუშაობა იმ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, რომ საჭიროა მთელი ჩვენი იდეოლოგიური, აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობა ავიყვანოთ იმ დიდი და რთული ამოცანების დონეზე, რომლებსაც პარტია წყვეტს, განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში“. საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. შევარდნაძის ეს სიტყვები მოწმობს თუ რაოდენ დიდი საპასუხისმგებლო ამოცანა ეკისრება ყოველ აღმზრდელობით კერას, იდეოლოგიური ფრონტის ყოველ მუშაკს.

თუ როგორი იქნება ჩვენი ცვლა, რომელსაც ევალება სრულყოს განვითარებული სოციალიზმი, ვინ ჩამოგვართმევს ესტაფეტას, ვინ შეაღებს XXI საუკუნის კარს, დიდად არის დამოკიდებული ხვალინდელი მოქალაქის პირველ აღმზრდელ-მასწავლებელზე — ოჯახზე, სკოლაზე.

ბავშვის სწავლა-აღზრდის გზები უკვლევიათ და პედაგოგიკაში საქვეყნოდ აღიარებული წვლილი შეუტანიათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ მეცნიერებს, განმანათლებლებს, პედაგოგებს ი. კომენსკის, ჯ. ლოკს, დ. დიდროს, ი. პესტალოცის, კ. უშინსკის, ვ. სუხომლინსკის, ნ. კრუპსკაიას, ჩვენს შესანიშნავ პედაგოგსა და მწერალს, ბავშვის გულის მესაიდუმლეს ი. გოგებაშვილს, გამოჩენილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს... დღეს სპეციალური ინსტიტუტები მუშაობენ ამ მიმართულებით, იმართება ყრილობები, სიმპოზიუმები... სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამა წლის ივნისისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმებზე ხომ ძირითადად საზოგადოებათმცოდნეობის, ადამიანთმცოდნეობის მეცნიერების განვითარების დაჩქარების საჭიროებაზე იყო დიდი ლაპარაკი!.

არსებობს საქმე, ახალგაზრდობის აღზრდაზე, ბავშვის სულის ფორმირებაზე უფრო ფაქიზი და საპატიო?

გავიხსენოთ ყველა ჩვენგანის საყვარელი მასწავლებელი — მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ საგზლად მოგვყვება მათი სითბო და შუქი.

მასწავლებელთა დინასტიები. მასწავლებლობის ხელოვნებით ფანატიკურად გატაცებული ოჯახები — ზოგან სამი-ოთხიც თითო ოჯახში... ზუგდიდელ მასწავლებელს ორესტი ქირიას რვა შვილი ჰყავს და რვავე მასწავლებელია.

ძნელი არაა იმის წარმოდგენა, რა თილისმა და ანდამატი აქვს აღმზრდელის ძველისძველ პროფესიას.

რა შეედრება იმ სიხარულსა და შინაგან კმაყოფილებას, როცა ყმაწვილები იჭერენ შენს ყოველ სიტყვას, თვალს ადევნებენ შენს ყოველ მოძრაობას, სიყვარულით გხვდებიან და გაცილებენ.

მოზარდების გულთამპყრობელობა უმაღლესი ნიჭია და რა ბედნიერია მასწავლებელი. რომელსაც ეს ნიჭი თან დაყოლია — მოწოდებით მასწავლებელი!

დღესაც, 1 სექტემბერს ფართოდ გაიღო ყველა სასწავლებლის კარი.

თავმომწონედ, მაგრამ შიშნარევი სიხარულითა და ცნობისმოყვარეობით, დედაზე ხელჩაკიდებული მიიჩქარის სკოლისაკენ სულ პატარა. ღელავს დედაც: როგორი იქნება ბავშვის პირველი შეხვედრა სკოლასთან, პირველი მასწავლებელი?

„ნამდვილი ადამიანის ჩამოსაყალიბებლად — ამბობდა ცნობილი პედაგოგი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ა. სუხომლინსკი — საჭიროა, სკოლის კვალიფიციური ხელმძღვანელობით ახალ, უმაღლეს საფეხურზე აყვანილი, მეცნიერულად ორგანიზებული ოჯახური და სასკოლო აღზრდა. ამავე დროს თვით ათწლიანი სკოლა უნდა გარდაიქმნას ყოველმხრივი აღზრდის კერად“.

სასკოლო მუშაობის დიდი გარდაქმნის აუცილებლობაზე, ბავშვის ჰარმონიულ კომუნისტურ აღზრდაზე — სკოლაზე, სადაც სასწავლო დისციპლინების გვერდით ნამდვილად დიდი ადგილი დაეთმობა მოზარდის ფიზიკურ და შრომით აღზრდას, განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას ჩვენი პარტია.

ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს ყოველ სკოლაში ირეკება პირველი ზარი.

საკლასო ოთახში, გაკვეთილზე შედის მასწავლებელი, თვალს გადაავლებს აღსაზრდელებს და კვლავ შეუდგება თავისი დიდი, საპატიო მოვალეობის შესრულებას.

დაე, კეთილი, მშვიდობიანი და წარმატებული ყოფილიყოს ახალი სასწავლო წელი! თავის ძნელ საქმეში გამარჯვებული და ბედნიერი იყოს დედა, მასწავლებელი!

## მეტი ფართო მოხმარების საქონელი

# აქ იბადება სილამაზე...



ბედნიერი არც ეთქმოდა პატარა გოგონას ბავშვობას: ბავშვობა ითქმის, თორემ სადღა იყო ბავშვობა. თვალის ახელისთანავე პირველად ძაძა და ცრემლი დაინახა, იავნანის მაგიერ დედის მოთქმა-წუწუნმა გაზარდა. პირველი შთაბეჭდილებაც შემაძრწუნებელი იყო, — შიმშილი, და მასთან დაკავშირებული წყევლა-კრულვიანი სახელი — ომი!

ომში ჩაინავლა მისი ულიმღამო პირველი წლები, ომმა უგზო-უკვლოდ შთანთქა მამა და სიბრალულისმომგვრელი, თანაგრძნობის აღმძვრელი სახელი — ობოლი უწოდა. ამიტომაც გაურბის ბავშვობის გახსენებას. მძიმე, თალხი მოგონებები აწვებბ დამამცირებლად, ჰმ, იმასაც თუ ბავშვობა ერქვა!... სიმღერამ უშველა. აღარც ახსოვს ხელში პირველად როდის მოიმარჯვა ფანდური, ხმაც უნებურად აუწყო დაააყოლა. უნებურად, სწორედ ისევე, როგორც ჩიტი იწყებს გალობას. მისი დაც ასევე ხმატკბილად და ლაღად მღეროდა.

ყველაზე ლამაზი და ნათელი მოგონება ცხადად შერჩენია გონებას: პატარა კაკაბეთელი მოსწავლე, მეოთხეკლასელი ნატო ოქრომჭედლიშვილი სიმღერის წყალობით ჩამოვიდა სოფლიდან დედაქალაქს. მაშინ საოცრების ხილვას და ახალი, ულამაზესი სამყაროს აღმოჩენას ნიშნავდა ეს მისთვის, რადგან ბავშვის თვალსაწიერი საგარეჯოს არც კი გასცილებოდა. თბილისში რესპუბლიკური მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერების ლაურეატი გახდა. ეს მისთვის ყველაზე ლამაზი სიზმრის თუ აუხდენელი ოცნების ასრულება იყო. მაშინ აღარც ახსოვდა გაჭირვება და უილბლობა. გოგონა ბედნიერი იყო.

იმ დღიდან სიმღერა იქცა პატარა ნატოს ოცნებად, ამიტომ გული მოუკვდა გოგონას, როდესაც შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში არ მიიღეს, ფორტეპიანოს დაკვრა არ იციო, ან კი საიდან უნდა სცოდნოდა, მხოლოდ ფანდური იყო მისთვის ხელმისაწვდომი და მშობლიური, ახლობელი და საყვარელი. ხმაც კარგი ჰქონდა, სმენაც, მაგრამ მაინც გარეთ დარჩა უზარმაზარ სურვილთან ერთად...

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თავია დასთან გამოეშურა თბილისში. და აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში მუშაობდა. ბედის კმაყოფილი იყო. ნატომ ერთი წლის ნაცვლად სამ თვეში წარჩინებით დაამთავრა № 36 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი და ასე მოვიდა თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საქსოვ საამქროში 24 წლის წინათ.

დაზგების გაუთავებელი, ხმაშეწყობილი მონოტონური გუგუნი უცხო ყურისათვის შემაწუხებელია, მაგრამ ნატო შედარებით იოლად შეეჩვია ამ „მუსიკას". შეუპოვარი, ენერგიული, გამრჯე და შრომისმოყვარე ქალიშვილმა ყველა პრობლემა სწრაფად და თითქმის დაუბრკოლებლად გადაწყვიტა. მაინც არ უნდოდა მიღწეულს დასჯერებოდა, სწავლა სწყუროდა. რამდენჯერმე კიდეც სცადა ბედი, მაგრამ ამაოდ... მერე ის იყო, მისი მომავალი მეუღლე — სერგო კიკნაძე გააცნეს. ჭაბუკი ჯიუტი და შეუპოვარი აღმოჩნდა.

ახლა ეცინება ნატოს — თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში, ყოველ დილა-საღამოს, ცვლის დამთავრების შემდეგ ტრანსპორტის გაჩერებასთან უცდიდა, თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ გოგონა მის დანახვაზე უთუოდ სხვა გზით წავიდოდა შინ — მოერიდებოდა ვაჟს...

ახლა ნატო ოქრომჭედლიშვილსა და სერგო კიკნაძეს უკვე მოზრდილი ქალვაჟი ჰყავთ, ორივენი № 3 ექსპერიმენტულ სკოლაში სწავლობენ, თანაც სამხატვრო სკოლის მოსწავლეებიც არიან. დიზაინერთა სტუდიაშიც ასწრებენ სიარულს. მამუკა ქანდაკებას ეუფლება, ეკა — გრაფიკას, მაგრამ ორივეს უყვარს სიმღერა. მამუკამ კარგად იცის ფანდურის დაკვრა. ახლა კიტარის დაკვრა მასწავლეო, — ეხვეწება დედას. მხოლოდ ერთი რამ აწუხებს ქალს — თავისი სამუშაოს სპეციფიკის გამო შედარებით იშვიათია საღამოები, როცა მთელი ოჯახი იყრის თავს და ე. წ. საოჯახო რეპეტიციები იმართება. მაშინ ნატო შესცქერის ამღერებულ ქმარ-შვილს და საკუთარი ბავშვობა, დაიკოსთან ერთად ნასწავლ-ნამღერები აგონდება.

ბედნიერია ნატო ოქრომჭედლიშვილიო — ამბობენ და მართალიც არის. ოქრომჭედლობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ხმა, გული და ხელი კი ოქროსი აქვაო, — ხუმრობენ მასზე მეგობრები, გაერთიანების საქსოვი საამქროს № 6 ბრიგადის წევრები: ქეთევან არჯევანიძე, ციური ფიფია, ცარო შიოშვილი, თამარ ბალიანი და თამარ მუშკიაშვილი. ისინი გაჭირვების ტალკვესს ეძახიან ნატოს.

დაუზარელი და მეგობრების მოყვარულიაო, — უმატებს ახალგაზრდა ბრიგადირი რომან ქიყიშვილი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც საინგილოდან ჩამოვიდა. ქორწილები, ქეიფები და ექსკურსიები ხომ უნატოოდ წარმოუდგენელიაო — ღიმილით ამბობს გაერთიანების საქსოვი საამქროს პარტიული ბიუროს მდივანი ნაზი მაღრაძე, — ბავშვების გამზრდელ-მეთვალყურე არავინ ჰყავდა შინ, მაგრამ მეუღლე მაინც აღარსად უშლიდა წასვლას მეგობრებთან ერთად და ნატოც ყველაფერს ასწრებდა. კარგი დედა, კარგი მეუღლე, კარგი დიასახლისი, მომღერალიც არის და მოცეკვავეც.

ნატო გაერთიანების აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. იგი პროფკავშირული ჯგუფის ხელმძღვანელია და საქსოვი საამქროს „გ" ცვლის სახალხო კონტროლის ჯგუფსაც მეთაურობს. 1964 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრია. მრავალი ჯილდო, სიგელი და მადლობა აქვს მიღებული. 1968 წელს კარგი მუშაობისათვის საზღვარგარეთ იმოგზაურა ტურისტული საგზურით. გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. საკუთარ ბრიგადაზეც ხალისით და სიყვარულით მესაუბრება: მეგობრულად ვართ ერთმანეთთანო, ლხინშიც და ჭირშიც მხარში ვუდგევართ ერთურთსო. რადგან „მცოცავი გრაფიკით" ვმუშაობთ, გაცდენა არ შეიძლება, შეძლებისდაგვარად ვცვლითო ერთმანეთს, რომ ბრიგადა არ მოცდესო, გეგმა არ ჩავარდესო.

— ყველაფერში ბეჯითი ხარ, მაგრამ ყველაზე მთავარში კი ვეღარ იყოჩაღე — ორი შვილი რას მიქვიაო, — ეხუმრება ნაზი მაღრაძე.

— ისინიც ერთ ვიწრო ოთახში გავიზარდეთ, — უპასუხებს ნატო, — ბავშვები მუსიკალურ სკოლაში იმიტომაც ვერ შევიყვანე, რომ ინსტრუმენტის დასადგმელი ადგილი არ გამაჩნდაო, გამზრდელ-მიმხედავიც არავინ გვყავდაო...

პოდა, ახლა ხომ გაფართოვდით, იფიქრე, არც ახლაა გვიან, — ღიმილით ურჩევს ნაზი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ კიდევ ერთი ჯილდო მიიღო—სსრკ 60 წლისთავის გამო გაერთიანებაში გამართულ თვითმოქმედი კოლექტივების ფესტივალზე ნატო ოჯახთან ერთად გამოვიდა, სიმღერები მშვენივრად შეასრულა და გაიმარჯვა კიდეც. ასე, რომ, არც თავის პირველ ბავშვობისდროინდელ ოცნებასა და სიყვარულს — სიმღერას ღალატობს. სიმღერა ცხოვრებას ულამაზებს, უადვილებს და უხალისებს. მაინც რა ძალა აქვს დალოცვილს: დაღლილობას დაგავიწყებს, ყველა დარდსა და საფიქრალს ერთბაშად მოგაშორებს, მხრებში გაგშლის, თვალებში გამოგახედებს თავისუფლად, ლაღად ამოგასუნთქებს, გაუხარელ, ულამაზო, მაგრამ მაინც საოცნებო და სანატრელ ბავშვობასთანაც კი დაგაბრუნებს, ერთბაშად მოგანატრებს კიდეც.

ძლიერი და ღონიერი ოჯახი აქვს მუშა ქალს. ზრუნვა და ყურადღება, სიყვარული და გულის სითბო არ აკლია, მიზანიც დიდი და ნათელი ესახება, იმედიანად, უშიშრად შესცქერის მომავალს, გაბედულად იყურება წინ და არაფრისა ეშინია კარგი ქმრის მეუღლეს და კარგი შვილების დედას. მოღონიერდა ოჯახი: მარტო მას საშუალოდ 260 მანეთი აქვს გამომუშავება.

კვლავ შეუჩერებლივ გუგუნებს დაზგები, იქსოვება ფერად-ფერადი ქსოვილები. ფხიზლად არის ქსელწყვეტილების გამყვანი ნატო. ყველა ქსოვილი ლამაზი, უზადო და ხარისხიანი უნდა იყოს. მით უმეტეს ახლა, როცა რამდენიმე ახალი სახის ნიმუშიც აითვისეს. მათ შორის ორი საბავშვოა, დანარჩენები ნატურალური მასალისაგან არის დამზადებული — ფერებიც ლამაზია, ხასხასა, საზაფხულო.

ნატო თავის მოსწავლეებთან — თამარ მუშკიაშვილთან და ნუცა რამიშვილთან ერთად მუშაობს. ისინი მოწინავენი არიან. ნატოს უხარია, რომ დაზგებს არაფერი უჭირთ და ხმაშეწყობილად მღერიან თავისებურ ლამაზ სიმღერას, უხარია, რომ საღამოთი შინ დაბრუნებულს ქმარშვილი შეეგებება.

მის თვალწინ იბადება სილამაზე — — ფერად-ფერადი, ნაირ-ნაირი, გულის გასახარელი, მოსაწონი ქსოვილები, აქ ნატო ოქრომჭედლიშვილის ნახელავიც არის; გაიხარებს თუ არა ხვალ რომელიმე ქალი ამ ქსოვილით, ეს მის შრომაზეც არის დამოკიდებული.

**ირინე კუკავა**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიახლეების ძიებაში

ზუგდიდის ენგურქაღალდკომბინატში სამიათასამდე მუშა-მოსამსახურეა. ამ ინტერნაციონალურ კოლექტივში მრავალი ეროვნების ადამიანი შრომობს — ქართველი, რუსი, სომეხი, უკრაინელი, ბელორუსი... ვერც კი გრძნობენ ეროვნულ სხვადასხვაობას. ყველა ერთისათვის იღვწის და ერთი ყველასათვის. ისინი ერთ ძმურ ოჯახში საერთო ინტერესებით, ძიებებით, ახალი ზღუდეების დალაშქვრაზე ფიქრით ცხოვრობენ. ისინი ოჯახებით მეგობრობენ, სამუშაო თუ საყოფაცხოვრებო სიკეთის თანაბარი უფლებით სარგებლობენ. აქაურმა მშრომელებმა თავიანთ ძირითად ამოცანად დაისახეს — ყველგან, ყველა უბანზე განამტკიცონ სანიმუშო წესრიგი და დისციპლინა, არ იყოლიონ არცერთი ჩამორჩენილი. მათ ამ სურვილს ახალი შემართებით უპასუხეს — აამაღლეს მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის დონე, გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

ახალი სასწავლო წლისათვის, ენგურქაღალდკომბინატის ფართო მოხმარების საგნების წარმოების საამქრომ ჩვიდმეტი დასახელების სასკოლო რვეულები, ჟურნალები, ალბომები და სხვა პროდუქცია გამოუშვა. ხუთი თვის განმავლობაში გამოშვებულმა პროდუქციამ ოთხი მილიონ 114000 მანეთი შეადგინა, რაც გეგმურს 21 ათასი მანეთით სჭარბობს. ამ საამქრომ ღირსეულად მოიპოვა ენგურქაღალდკომბინატის გარდამავალი წითელი დროშა. საამქროს მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ ქაღალდის ანარჩევებისგან ორი სახის ბლოკნოტის და ერთი სახის ალბომის დამზადება. ექსპერიმენტმა კარგი შედეგი გამოიღო. პროდუქციის სერიული გამოშვება უკვე დაიწყო.

საამქროში სარეკონსტრუქციო სამუშაოები რომ დამთავრდება, გაიზრდება პროდუქციის რაოდენობა, ამაღლდება ხარისხი, გაუმჯობესდება მუშათა სამუშაო პირობები, შემსუბუქდება მათი შრომა.

„80-იანი წლები დიდი გარდა-

ტეხის წლებია ხელით შრომის ლიკ-ვიდაციისათვის ბრძოლაში, ეს არის წარმოებაში ყველაზე მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერ-გვის წლები, — წარმოების ინ-ტენსიური და მექანიზაციისა და ავ-ტომატიზაციის წლები“ — ითქვა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე.

უკანასკნელი სამი წლის განმავ-ლობაში ენგურქაღალდკომბინატის საწარმოში 50-ზე მეტი ორგანიზა-ციულ ტექნიკური ღონისძიება გან-ხორციელდა. ძველი, გაცვეთილი დანადგარები მძლავრი ახალი ტი-პის მანქანა-დანადგარებით შეიცვა-ლა. ამან კი, რა თქმა უნდა, მუშებს შრომის პირობები შეუმსუბუქა და პროდუქციის ხარისხი გააუმჯობესა.

ენგურქაღალდკომბინატის გამომ-გონებელთა და რაციონალიზატორ-თა ბიუროში 11 ინჟინერი სპეცია-ლისტია გაერთიანებული: ნ. მაქაცა-რია, ნ. ბასილაია, ვ. ნანავა, გ. შერ-ვაშიძე, ა. მელაშვილი და სხვები. ბიუროს წარმოების ვეტერანი, ინ-ჟინერი ეთერ ცქიტიშვილი ხელმძ-ღვანელობს. წლების მანძილზე კომ-ბინატში ინერგება და მკვიდრდება რაციონალიზატორთა და გამომგო-ნებელთა საგულისხმო წინადადებე-ბი. მარტო წლეულს ხუთ თვეში 40-მდე ახალი წინადადება დაინერ-გა, რის შედეგადაც 325 ათასი მა-ნეთის ეკონომიას მიაღწიეს.

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ენგურქაღალდკომბინატის მექაღალ-დეებმა მხარი აუბეს ქაღალდი-სა და მუყაოს მასატევადობის შემდგომი შემცირებისა და მერქ-ნის რესურსების ეკონომიისათვის სოლიკამისა და კოტლასის ცელუ-ლოზა-ქაღალდის კომბინატების მუშათა თაოსნობასა და გამოცდი-ლებას.



ეთერ ცქიტიშვილი

1982 წლიდან რაციონალიზატო-რებმა მექაღალდეებთან ერთად და-იწყეს ენერგიული შრომა კვადრა-ტული მეტრი ქაღალდის მასის წო-ნის შესამცირებლად. „სადაც აზრი ძლიერია, იქ საქმეც ღონიერია,“ უთქვამს ხალხს და აი, შედეგიც: კვადრატული მეტრი №1 საწერი ქა-ღალდის მასის წონა 67,4 გრამამ-დე შეამცირეს, გამოშვებული 286,21 მილიონი კვადრატული მეტრი სა-წერი ქაღალდის მოცულობაზე და-ზოგეს 744 ტონა ბოჭკო, რაც მერ-ქანზე გადაანგარიშებით 2640 ათას კუბურ მეტრს შეადგენს, ასევე კვა-დრატული მეტრი საწერი ქაღალდის მასის წონა 2,6 გრამით შემცირდა, გასახვევი ქაღალდისა — 1,0 გრა-მით, დასტის ქაღალდისა — 3,6 გრა-მით და მუყაოსი — 6,3 გრამით. მასის წონის შემცირების შედეგად 1982 წელს დამატებით გამოშვებუ-ლია 449 ათასი მანეთის ანუ 767 ტო-ნა საწერი ქაღალდი, 45000 მანეთის 188 ტონა გასახვევი ქაღალდი, 247 ათასი მანეთის 567 ტონა დასტის ქაღალდი და 31 ათასი მანეთის 152 ტონა მუყაო.



იზოლდა მესხია და ვახტანგ ნანავა



ნინო ბასილაია

ვ. ჩაბონ-ზადეს ფოტო.

1983 წლის პირველ კვარტალში წარმოების ტექნოლოგიის შემდგო-მი სრულყოფითა და დამატებითი ნედლეულის დაუხარჯავად მიღებუ-ლია 193 ათასი მანეთის პროდუქცია.

წლევანდელი ხუთი თვის შედეგებ-ით კომბინატი სოციალისტურ შე-ჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბ-ჭოს მეორე ხარისხის დიპლომით და-ჯილდოვდა.

ოლია დადიანი



ჩაის ვადამწონ ფაბრიკაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რედაქციის დღეები ზუგდიდში



ზუგდიდის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის მუშაკები ზუგდიდის ქალთა საბჭოს მოწვევით (ქალთა საბჭოს თავმჯდომარე თამარ ქუჩულორია) ამ ზაფხულს სტუმრად ეწვივნენ ქალაქ ზუგდიდს. ჟურნალისტებმა დაათვალიერეს ქალაქის საწარმო-დაწესებულებები, გაეცნენ მათს მიღწევებს, განვითარების პერსპექტივებს, შეხვდნენ ზუგდიდის მშრომელებს.

ჟურნალის რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი, რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი ეთერ ჯაფარიძე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ლია კაკაბაძე, ტექრედაქტორი ნანული ბუკია და რედაქციის გამგე ოლია დადიანი ფაიფურის ქარხანაში მივიდნენ, რომლის დირექტორმა ანზორ ქუჩულორიამ მათ დაათვალიერებინა წარმოება. აქ დახვდათ მონდომებული, საქმისათვის გულშემატკივარი კოლექტივი, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს გაართვას თავი იმ დიდ ამოცანებს, რაც ფართო მოხმარების საგნების მწარმოებლებს ევალებათ.

ფაიფურის ქარხანას 1983 წლისათვის 15 მილიონი ცალი პროდუქციის გამოშვება აკისრია. ესენია: ყავის სერვიზები, ჩაის ჭიქები, ლამბაქები, ფიალები, საწვენეები, სასალათეები, სუვენირული ნაწარმი. შარშან ხარისხის ნიშანი მიიღო ჩაიდანმა „თამარმა“. წლეულს ხარისხის ნიშანზე ორი დასახელების ნაწარმი წარსდგება.

დაყალიბების საამქროში რედაქციის მუშაკები შეხვდნენ ინეზა ბალლუაშვილს, რომელიც დღეში 3 ათას თეფშს აყალიბებს. დახარისხების საამქროს მუშა ნორა ტიბუა დღეში 5 ათას ცალ ნაწარმს ხეხავს და ისე ოსტატურად ასრულებს სამუშაოს, რომ ნახელავს ვერ დაუწუნებთ.

მასის დამამზადებელი მარგო ფაცაცია 20-21 ტონა მასას ამზადებს.

ღუმელების საამქროში ზინაიდა მარკოვა კარგად ასრულებს ბრიგადირის მოვალეობას.

ფერწერის საამქროში მხატვარი გოგოლა უბილავა მაგალითის მაჩვენებელია ყველასათვის — ფაქიზად, გემოვნებით აფორმებს ჭურჭელს. ამასთან, ყოველი თვის ბოლო სამ დღეს უხელფასოდ შრომობს და შრომის საფასურს სახელმწიფოს უტოვებს.

რედაქციის მუშაკები ესაუბრნენ მოწინავეებს, გაეცნენ მათს სამუშაო პირობებს, გამოიკითხეს, თუ რა სჭირდებათ საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

პრესის მუშაკებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ზუგდიდის ჩაის საწონმა ფაბრიკამ (დირექტორი გივი სოსელია). მექანიზაციის ფართოდ დანერგვის, დისციპლინის დაცვის, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გა-

შლის, სტიმულირებისა და წახალისების მეთოდების გონივრულად გამოყენების შედეგად ზუგდიდის ჩაის საწონი ფაბრიკა რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავეა, მისი გამოშვებული „ინგური“ მოსწონთ როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

სტუმრებმა დიდი კმაყოფილებით დაათვალიერეს ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმი, რომელიც 53 წლისაა. (დირექტორი ვალერიან შონია).

ტექნიკუმში რვა სხვადასხვა სპეციალობაზე საქართველოს 16 რაიონიდან ჩამოსული 1300-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს. სასწავლებელში 90-მდე მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებელია. აქვთ 5 ლაბორატორია, 17 კაბინეტი, 2 სახელოსნო. ბოლო წლებში დაამონტაჟეს 27 ათასი მანეთის ღირებულების ტექნიკური საშუალებები: ელექტროტექნიკის ლაბორატორია, მათემატიკის ავტომატიზებული კლას-კაბინეტი და ლინგაფონის კაბინეტი.

53 წლის განმავლობაში ტექნიკუმმა ხუთი ათასამდე სპეციალისტი გამოუშვა, რომლებიც აქტიურად შრომობენ ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბნებზე.

რედაქციის მუშაკთა სტუმრობა დაუვიწყარი იყო ზუგდიდის საჩვენებელ ბაგა-ბაღში (გამგე ლილი მიქავა). აქ ნამდვილად გამართლებულია ფართოდ გავრცელებული მოწოდება — ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს! ტიპობრივი შენობა, კარგად მოწყობილი ოთახები (სამეცადინო და საძინებელი), ბავშვთა გართობისათვის გონივრულად მოწყობილი ეზო, ხეხილის ბაღი, საცურაო აუზი — აი ის, რაზეც უფიქრიათ კეთილი გულის ადამიანებს, გამგეს და აღმზრდელ პერსონალს.

ზუგდიდის თეატრის შენობაში მოეწყო მკითხველებთან შეხვედრა, რომელზეც ბევრი საგულისხმო შენიშვნა, სურვილი, წინადადება გამოითქვა. რა თქმა უნდა, მათ რედაქციის კოლექტივი გაითვალისწინებს თავის მომავალ მუშაობაში.



# ბრიგადაში წყაროზიები არიან

ივანე და ლისა წყაროზიებს ცხრა ქალვაჟი ჰყავთ. შვილები სიყრმიდანვე შეაჩვიეს შრომას. გოგონები ჩილის ქუდებს დაიხურავდნენ და ჩაის პლანტაციაში გარბოდნენ, ბიჭები მამას უმშვენებდნენ მხარს სახნავ-სათესში. მხოლოდ ლუიზამ ვერ მოძებნა თავისი ადგილი — არც სწავლას უდებდა გულს, არც შრომა იტაცებდა.

— ვინ წაგიყვანს ასეთს? — ეუბნებოდნენ ოჯახში. თვითონ არ იცოდა გარკვევით, თუ რა საქმისთვის მოეკიდა ხელი. ქარგვა და ჭრა-კერვა ეჯავრებოდა. დებთან თამაშს ძმებთან ფეხბურთის და ლახტის თამაში ერჩია. რამდენჯერმე ჩაის საკრეფად წაიყვანეს. სხვებზე მეტი მოკრიფა, უკეთესი ხარისხისაც, მაგრამ შინდაბრუნებულმა „ეგ საქმე თქვენთვის დამითმიაო“, გამოუცხადა დებს.

ნოყიერი მიწები მოიძებნება კოლხეთში, მაგრამ ზუგდიდის შამგონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სახნავ-სათესი სულ სხვაა. ეს სოფელი ერთადერთი „კუნძულია“ ენგურის ხეობაში, რომელსაც საუკუნეობით შლამავდა მდინარე. ქვები ხელს უშლიდა ნოყიერი მიწების დამუშავებას. ზოგჯერ წყალდიდობა დაატეხდა სოფელს უბედურებას, ყანებს წალეკავდა, პირუტყვს დაანიოკებდა, ერთადერთ სამიმოსვლო საშუალებას — ბორანს მოიტაცებდა. აი, მაშინ მიჰყვებოდა ხოლმე ლუიზა ძმებს.

— საშენო საქმეს მიხედეო — უწყრებოდა დედა.

ის კი, ბიჭების ტანსაცმელში გამოწყობილი, მათებურად აიწევდა კოსტუმის საყელოს, ხაბოსპირზე გამოვიდოდნენ, საც აბობოქრებული ენგური ჯებირს ღრღვევდა, გადაუკეტავდნენ ყანებისკენ წამონიაღვრებულ მდინარეს გზას, მიაბრუნებდნენ კალაპოტში, მერე ტანაყრილი მუხის ძირას ისადილებდნენ. ცას მიაჩერდე



ბოდა ძმების ზურგს მიყრდნობილი ლუიზა. ოცნებობდა რაღაც განსაკუთრებულზე, ქალისათვის უჩვეულოზე, რაღაც მიუწვდომელზე.

— დედა შემოგევლოს, დღეს თუ ხვალ გათხოვდები, ახლავე თუ არ იფიქრე ამაზე, მერე ქალის ტვირთი გემძიმება, თითისტარი და აკვნის რწევაა ჩვენი მოვალეობა — ჭკუას ასწავლიდა დედა.

დები, რომლებიც დალალებს უვარცხნიდნენ ერთმანეთს, ეშმაკური კისკისით უხმობდნენ, „მოდი, ლუიზა, დაგვარცხნითო!".

მაშინ გაჯავრდა ლუიზა, განზე გაიხმო უფროსი ძმა ლერი, დიდხანს უმტკიცებდა ჩურჩულით რაღაცას, საძინებელ ოთახში შეიყვანა, ქირქილით გამობრუნდა იქიდან. მუჭაში მოემწყვდია შეჭრილი ნაწნავები და ცხენის ძუასავით აქანავებდა.

ეს ამბავი ლისა წყაროზიამ ისე შეიცხადა, თითქოს რაიმე სასირცხვილო დამართვოდა ნაბოლარა ქალიშვილს.

ლუიზას კი მტკიცედ გადაეწყვიტა ჩაის საკრეფ „საქართველოს" მართვა, რომლისთვისაც მესაჭეს ეძებდნენ სოფელში.

ივანემ მოუწონა ქალიშვილს გადაწყვეტილება. მამის გამოსარჩლებამ ქალს ფრთები შეასხა. კოლმეურნეობის გამგეობამაც დაუჭირა მხარი, ახალთახალი მანქანა „საქართველო" მიანდო. ძმებიც მიეხმარნენ უმცროს დას მანქანის საფუძვლიანად დაუფლებაში და შეცურდა ლუიზას ხომალდი მწვანე ზღვაში!

პირველ წელს ლუიზამ 34 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, მალე ნაკისრი 42 ტონა 51 ტონამდე გაზარდა, რისთვისაც ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო როცა 49 ტონის ნაცვლად 60 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩააბარა სამშობლოს, შრომის წითელი დროშის ორდენიც მიაბნიეს მკერდზე.

ამასობაში დათხოვდნენ ლუიზას უფროსი დები, დაცოლშვილდნენ ძმები, მას კი არ ეცალა ოჯახისათვის, თავს ევლებოდა გაპიროვნებულ პლანტაციას. ახალი მიჯნების დაძლევა ეწადა.

შამგონის კოლმეურნეობამ მეორე ჩაის საკრეფი მანქანა რომ მიიღო, ლუიზას შუათანა ძმას იბრაგიმს ჩააბარეს, და-ძმამ 105 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა ივალდებულა, ნამდვილად კი 150 ტონას გადააჭარბეს.

ლუიზა გათხოვდა, ქალ-ვაჟი შეეძინა, პატარები წამოჩიტა და კვლავ თავის მანქანას მიუბრუნდა.

ხანდახან ძმისწულები დაემგზავრებიან ხოლმე, პლანტაციაში მიმავალს, კაბინაში უსხდებიან, ლუიზა კი ღიღინებს. ლერის უფროსი გოგონა, ნინო, რომელიც ახლა მეცხრე კლასშია, საჯაროდ ამბობს: დავამთავრებ თუ არა სკოლას, მამიდას დავემოწაფებიო.

სოფელ შამგონის მერვე ბრიგადა წყაროზიების ბრიგადად არის ცნობილი. 39 ჰექტარ ჩაის პლანტაციას თვალისჩინივით უვლის ოცდახუთივე წევრი, სხვა გვარისანიც არიან აქ, მაგრამ ძირითადი ბირთვი ივანე წყაროზიას ოჯახის წევრები არიან. შარშან მათ გეგმური 300 ტონის ნაცვლად 390 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. თვითეულმა 350-450 მანეთი გამოიმუშავა. წლეულს მეტ მოსავალს ელიან. მწკრივები დროულად გასხლეს, დაბარეს, სასუქი შეიტანეს. ახლა გამალებული კრეფა მიმდინარეობს.

ახალ ჯილდოებს იღებს ლუიზა წყაროზია. პაშა ანგელინას პრიზი განსაკუთრებით ემაყება მექანიზატორ ქალს.

14 წელიწადში ათამდე მექანიზატორი ქალიშვილი გამოზარდა, კვლავაც აპირებს სხვებს გადასცეს თავისი გამოცდილება. ახლა ის ქალაქ ზუგდიდის მკვიდრია, სამსახურიდან 15-20 კილომეტრის სიშორე სულაც არ უშლის ხელს მუშაობაში. მესამე წელიწადი იწურება, რაც თავდადებული შრომისთვის პარტიამ და მთავრობამ უსასყიდლოდ მისცა ავტომანქანა „მოსკვიჩი".

შამგონში ცხოვრობს ბოლშევიკი ბესა პაპა. აი, რა თქვა თეთრწვერა მოხუცმა:

— როცა ქალიშვილი გაჩნდება, ლობე ახმიანდება, — იტყოდნენ ჩემს დროს, — არიქა, მოვიდა ჩემი დამშლელი და ლუმელში შემკეთებელიო, მაგრამ ლუიზა სხვა ჯილაგისა გამოგვადგა. ამისთანებით უდგას სული მამულს, ამისთანებით არის კურთხეული ჩვენი დიადი ქვეყნის აწმყო და მომავალი.

შამგონში ყველგან ქვებია, ყველგან დამბებია, ყველგან ჯებირებია, ზოგან გაურღვევია მდინარეს კედელი, მაგრამ არავინ ზრუნავს მისი გააზლებისათვის. მდინარეს წართმევია სოფელთან ბრძოლის ძალა, ხოლო ქვებს, რომლებსაც ლეყეპოს ფერი დაჰკრავს, საშენ მასალად იყენებენ შამგონელები. ამიტომაც ორსართულიანმა ქვიტკირის სახლებმა დაამშვენა აქაურობა. შიდა სამიმოსვლო გზებიც ამ ქვებით არის მოკირწყლული. ლობეც, სოფლის კლუბ-კანტორაც, სადაც დიდი ზეიმი გადაიხადეს, ამ ქვებით ნაშენებია. კოლმეურნეობის არსებობის 52 წლის მანძილზე შამგონელებმა პირველად მიიღეს თავდადებული შრომის უმაღლესი საზღაური — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

გ. ფეტელავა

# ვეტერანი


ეროვნული ბიბლიოთეკა

**პარტიისა და ხალხის წინაშე ჩვენი ვეტერანების უდიდესი დამსახურება ის არის, რომ ისინი ღირსეულ ცვლას გვიმზადებენ. მათს ადგილს იკავებენ ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი განაგრძონ დაწყებული საქმე, ზოგჯერ — მეტი წარმატებითაც, ვეტერანს შეუძლია მხოლოდ იამაყოს ამით.**

ი. ვ. ანდროპოვი

გორის მთავარი ქუჩის მცხოვრებლები კარგად იცნობდნენ „ციციაანთ" ლიას. ამ მომცრო ტანის გოგოხი ბიჭებხაც კი ეშინოდათ, კრძალვით ჩაუვლიდნენ ჩხუბში უშიშარს, სიმართლის მოყვარულს.

ეს „ახტაჯანა" გოგო ბიჭად უნდა დაბადებულიყოო, — ამბობდნენ ნაცნობები.

ლია კარგი რეკომენდაციით შევიდა კომკავშირში და მოკლე ხანში სამაგალითო გახდა.

დაამთავრა სამედიცინო ტექნიკუმი. დაიწყო მუშაობა ქალაქის საავადმყოფოში ექიმის თანაშემწედ, ოცნებობდა ექიმობაზე.

— ლიას დედამ, სოფიო ციციშვილმა თავის დროზე დიდი ღვაწლი დასდო ზემო ხვედურეთის გლეხობას. ის ქმართან ერთად ილვწოდა, რომ გლეხის შვილებისათვის სკოლა გაეხსნათ. გახსნეს კიდეც სკოლა და სოფიო იქ მასწავლებლობდა. ქმარს რევოლუციური საქმიანობისათვის ხშირად აპატიმრებდნენ. ბოლოს ოთხი წელი იჯდა პეტრე-პავლეს ციხეში, სადაც ჭლექით დაავადდა. სოფიომ ქმარი სოფელში ჩამოიყვანა, ის მალე გარდაიცვალა.

სოფიოს ჟანდარმერია კვლავ ავიწროვებდა, სანამ ცოლად არ გაჰყვა თავისი გვარის კაცს, ციციშვილს — ლიას მამას.

გადმოსახლდნენ გორში, სადაც გააგრძელა მასწავლებლობა. ასწავლიდა ფრანგულ და რუსულ ენებს, 80 წლის სოფიო შვილმა მამის სიკვდილის შემდეგ თბილისში გადმოიყვანა, ლია, კი ვერ შეელია საყვარელ გორს, დარჩა იქ თავის ავადმყოფებთან. გორის ყოველი კუთხე ძვირფასი იყო მისთვის.

დაიწყო სამამულო ომი. ლია სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, დროებით საქართველოში დაბანაკებულ დივიზიაში ჩარიცხეს.

მეორე დღეს, სამხედრო კომისრის წინაშე იდგა. ჯარისკაცის დიდი ზომის ტანსაცმელი ეცვა, ძლივსლა ჩანდა.

კომისარმა ღიმილი ვეღარ შეიკავა და განკარგულება გასცა ჩასაცმელი მის ტანზე გადაეკეთებინათ.

ლიას ბობოქარ სულს ფრონტის წინა ხაზი იზიდავდა, იქით უწევდა გული. გაგზავნეს სამთო დივიზიასთან არსებულ 121-ე სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში საევაკუაციო განყოფილების უფროსად, სადაც 1943 წლის დეკემბრამდე დაჰყო, მიიღო წითელი ვარსკვლავის ორდენი, მრავალი მედალი.

...მტერი გამხეცებულია და ყოველგვარ საზიზღრობას სჩადის. ექიმებს ზეზეურად სძინავთ, სისხლში დასვრილებს. მთელი სიმძიმით დააწვა სამედიცინო პერსონალს ფრონტი. ბევრი ვეღარ ბრუნდება უკან ზურგზე აკიდებულ მებრძოლთან ერთად.

ლია მანქანის ძარაზეა. ისმის კვნესა. ქვემოდან აწვდიან დაჭრილებს და ფრთხილად აწვენს მათ. იქვე დგანან შტაბიდან ჩამოსული პოლიტხელი და პოლკოვნიკი, — ლიას უფროსი.

— „რა უნდა ამ პატარა ბიჭს აქ? — კითხულობს სტუმარი.

— ეს ბიჭი არ არის, ქართველი ქალია. გამოცდილი მედდა" — უპასუხებს პოლკოვნიკი.

— რატომ არ წარადგენ ჯილდოზე?"

მაშინ მიიღო ლიამ წითელი ვარსკვლავის მეორე ორდენი და მთავარსარდლის პირადი მადლობა. ერთ-ერთ ბრძოლაში, დაჭრილის გამოყვანისას ლია დაიჭრა. გააგზავნეს საველე ჰოსპიტალში. ცოტა მომჯობინდა და დაბომბეს ჰოსპიტალი. ვისაც შეეძლო, თავს უშველა.

ლია დიდხანს ეძებდა თავისიანებს. შემთხვევით მძღოლმა იცნო გზად მიმავალი და თავის დივიზიაში მიიყვანა. ამხანაგები ისე ეხვეოდნენ, როგორც მკვდრეთით აღმდგარს.

დამთავრდა ომი. ლია დაუბრუნდა საყვარელ გორს. მერე ძმის თხოვნით თბილისში გადმოვიდა.

— სად გაქრა, ლია, შენი კისკისი, შენი ოინები? — ეკითხებიან მეგობრები.

ლია შორს იხედება, წუთით კინოლენტივით თვალწინ გაუელვებს დაღუპულ მებრძოლთა სახეები და წყნარად იტყვის:

ვისაც არ უნახავს ჯანღონით სავსე მომაკვდავი ვაჟკაცის თვალები, რომელიც შველას და სიცოცხლეს გთხოვს, ვერ შველი და ხელში გიკვდება... ვისაც არ უნახავს, აწიოკებული ბავშვების ჩონჩხად ქცეული სახეები და მრავალი საშინელება, ის ვერ გაიგებს.

ლიას თმაში არცერთი ღერი შავი აღარ ურევია, სახეც მთლად დაჭმუჭნებია. მხოლოდ მისი თვალებია უცვლელი, ოღონდ მათში რაღაც წყნარი სევდა ჩამკვიდრებულა.

ლია სიხარულით ელის 9 მაისს, როცა თავისი დივიზიის წევრებს შეხვდება.

იქ ყველაფერი გულითადია და ამას მხოლოდ ფრონტელი გაიგებს.

ლიაზე ბევრი კარგი დაიწერა. ერთ წიგნში („პო დოროგამ ვოინი") ლიას სურათია. მკერდი ჯილდოებით აქვს სავსე. შრომის სიყვარულმა, სამშობლოს სიყვარულმა გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა ეს მხნე ქალი. ახლა ოჯახს უვლის, სიძე-ქალიშვილის ოჯახს. საზოგადო სამუშაოსაც გულით ეკიდება — რაიონის ამხანაგურ სასამართლოს განაგებს, ლია ნამდვილი კომუნისტია.

„მე შრომა მაცოცხლებს" — იტყვის ხოლმე ხშირად.

ანა აბრამია

# გაქანება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნარკვევი ჩვენი 1983 წლის „ღიმილის კრიზის“ მფლობელზე



ექვსი წლის გოგო-ბიჭები სუნთქვაშეკრულნი ადევნებენ თვალს, ფერთა რა ჯადოსნური გამა ნაირფერობს მთელი კაბინეტის სიგრძეზე გაშლილ ფურცლებზე: ეს „სიხარულის ცისარტყელაა“, მეექვსეკლასელები რომ ხატავენ თავისთვის. ამით იწყება თბილისის 56-ე საშუალო სკოლის ნულ კლასში ხატვის გაკვეთილი, რომელსაც პედაგოგი ნელი მგელაძე ატარებს.

### ფერთა მოპოვება

წითელი, ცისფერი, ყვითელი: სამყაროს მდიდარ ფეროვნებათა შემქმნელი ფერები. მათი იდუმალების შეცნობით, ათეულ ნაირფეროვნების წარმოქმნით იწყება ნულკლასელთა მოგზაურობა მხატვრობის საოცარ ქვეყანაში. მასწავლებელს ხელში „ხატვის ოსტატი“ თოჯინა უპყრია და გაკვეთილსაც იგი წარმართავს. მისი დახმარებით იწყებენ ბავშვები ხატვის ანაბანის გაცნობას; „მშენებლობის ოსტატი“ არქიტექტურის საიდუმლოებისაკენ მიუძღვებათ, „მორთვა-მოკაზმვის“ ოსტატი კი დეკორატიულ ხელოვნებას აზიარებს პატარებს. საზეიმოდ აღიარებენ, რომ პირველ კლასში ბავშვები უკვე მხატვრები არიან. ამ დღეებში ისინი სამხატვრო აკადემიასა და ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელს ესტუმრებიან. მეორე კლასში უკვე საინტერესო საქმეთა ალბომს გააფორმებენ. მესამე კლასში თბილისობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი გამოფენისა და ექსპოზიციის გაკეთება ევალებათ. მომდევნო კლასში, ეროვნული ტანსაცმლის კერვასა და ხალიჩების ქსოვას შეუდგებიან. კაბინეტში მეთუნეობის წრე ჩამოყალიბდა და თიხის გამოსაწვავი ღუმელიც კი უდგათ. ამას წინათ სახელოსნოც შეემატათ.

### მშვენიერებით აღზრდა

56-ე სკოლაში ახალგაზრდა ხატვის მასწავლებელი ნელი მგელაძე ექვსი წლის წინათ მოვიდა. ხატვის გაკვეთილები, რატომღაც, მეორეხარისხოვნად ითვლებოდა და სკოლის ხელმძღვანელობაც, მშობლებიცა და მოსწავლეებიც ამგვარად ეკიდებოდნენ საქმეს. ანდა, რისი იმედი უნდა ჰქონოდათ, როცა მეცადინეობა ჩვეულებრივ საკლასო ოთახში მიმდინარეობდა. არ ჰყოფნიდათ საღებავები, ფუნჯები... მოდელადაც ერთიდაიგივე, მობეზრებული ხელადა ედგათ. მასწავლებელიც თანდათან გულგრილი ხდებოდა, ეჭვდებოდა; ვარ თუ არა ამ საქმისათვის საჭირო.

— ძველებურად მუშაობა აღარ მინდოდა. წასვლასაც კი ვფიქრობდი. მერე გადავწყვიტე, უკან დახევას ყოველთვის მოვასწრებ მეთქი, ხატვის გაკვეთილებისათვის დაჟინებით მოვითხოვე სპეციალური საკლასო ოთახი, რომელიც მივიღე, მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ნახევარი გახლდათ. ოთახი სპეციალურ კაბინეტად უნდა მექცია. ყველაფერს ერთი მიზანი უნდა ჰქონოდა.

კაბინეტის ავეჯიც — მერხები, კარადები, თაროები პედაგოგის ესკიზის მიხედვით არის საგანგებოდ შექმნილ-შერჩეული. ბევრი რამ თავად მოწაფეთა ხელებით დამზადდა. რამდენიმე თვის წინათ, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე 56-ე სკოლამ, სახვითი ხელოვნების კაბინეტის მოწყობისათვის პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

ნელი მგელაძე კი გამოფენის ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

— და მაინც, კაბინეტის მოწყობა მთავარ მიზანთან მხოლოდ მიახლოებაა. ძალიან გვიშველა იმ ამბავმაც, რომ სწორად განხორციელდა მოსწავლეთა ესთეტური აღზრდის სრულყოფის ექსპერიმენტი. ჩვენი სკოლაც ამ ექსპერიმენტის მონაწილეა. ცოცხალმა საქმემ, მასწავლებლის მიდგომამ თავისი ადგილი მონახა: შეავიწროვე ხატვის გაკვეთილები და სახვითი ხელოვნების გაკვეთილებად გადაიქცა. ეს ექსპერიმენტი ხაზს უსვამს მეზობელი დარგების კავშირს. გაკვეთილებზე, ერთმანეთს ორგანულად ერწყმიან მხატვრობა, მუსიკა, ლიტერატურა და ესთეტიკა. ექსპერიმენტი ძალებს იკრებს, ფრთებსა შლის, ავტორიტეტს იხვეჭს და მომხრეებსაც პოულობს.

### ვარდისფერი არწივი

„ერთხანობას სკოლებში ცოცხალი კუთხის მოწყობით იყვნენ გატაცებულნი ეგონათ, რაკიღა ბავშვები ცხოველებს უვლიან, ბუნების სიყვარულსაც სწავლობენო. ეს ამბავი ცოტა არ იყოს მაშფოთებდა. ვიწრო გალიაში გამომწყვდეული ფრენას გადაჩვეული ორბი, ხელის გადასმისაგან ეკლებგადაცვეთილი ავადმყოფი ზღარბი, ნაღვლიანი, ტკბილი ნამცხვრით გაბეზრებული ციყვი! არა მწამს ასეთი სიყვარული... ასეთი ცოცხალი კუთხე, ასეთი ცოცხალი ბუნება სიბრალულს იწვევს მხოლოდ. ამგვარი რამ სულაც ვერ აღზრდის ადამიანში ბუნებისადმი თაყვანისცემას, მოკრძალებასა და მისი დაცვის დიდ სიყვარულს.“

პედაგოგის აი, ამ პოზიციას ვხედავთ სწორედ სკოლის ნორჩ მხატვართა სურათებში. აი, ჩამავალი მზის ვარდისფერ სხივებში მოლივლივე არწივი, ირმის ლაღი ნახტომი, ცისარტყელისებური [illegible] გუნდის ცეკვა, ტყეთა და მინდორთა მსუყე სიმწვანე.

### ხუთიანი ლურჯი ლაქისათვის

წარმოდგენა და ფანტაზია — რა რიგ გადამწყვეტნი არიან ისინი შემოქმედებით მუშაობისას, თვითგამოხატვისას, რა აუცილებელნი არიან განუმეორებელი, ნათელი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ნე-

ლი მგელაძის აზრით, სწორედ სახვითი ხელოვნების გაკვეთილებს ძალუძს განავითაროს ნორჩებში ეს თვისებები, იგი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ფანტაზიის ნიჭი ყოველ ბავშვშია განფენილი. „მაგრამ ხდება საოცრება, ბავშვებს ზრდასთან ერთად, ეს უნარი თანდათან ეკარგებათ. ჩემი მიზანია დავეხმარო მათ, შევუნარჩუნო წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარი. მათ გარეშე ხომ არც მათემატიკა არსებობს და არც ფიზიკა."

...მასწავლებელმა სუფთა ქაღალდებზე ფერადი ლაქები დაამჩნია. ახლა თქვენ დაამთავრეთო — უთხრა ბავშვებს და ისინიც მთელის გულისყურით ჩააცქერდნენ ფურცლებს.

იბადება მომავალი ნახატის იდეა. არავინ ჩქარობს ფუნჯის აღებას. მაგრამ აი, თანდათან გაჩაღდა მუშაობა. ნახატთა სასკოლო გამოფენაზე მე ვნახე ეს სურათები: მხატვრული წარმოდგენის იდუმალ პროცესთა მიერ შექმნილი უცნაური ფრინველები და მცენარეები. ბავშვებს ერთი თვისებაც განუვითარდათ: ბუნებაში რეალურ და ფანტასტურ არსებათა ჭვრეტა.. ეს ნამუშევრები სკოლის ვესტიბიულში, საგანგებო თაროებზეა გამოფენილი. ბევრი მათგანი გვაოცებს აღქმის უნარით, ჰუმორითა და გონისმიერი ასოციაციებით.

### ცხოვრების სახელმძღვანელო წიგნი

ჩვენი დრო, გვსურს ეს თუ არა, მოზარდი თაობის ხასიათში ახალ თვისებებს აყალიბებს. ეს კი აღზრდისადმი ახალ მიდგომას მოითხოვს, მოზარდი ბავშვის სულიერ სამყაროში ახალი გზის ძიებებს განაპირობებს. დღევანდელი ახალგაზრდობა უფრო რთულია, ვიდრე ეს ბევრ აღმზრდელსა და პედაგოგს ჰგონია. ახალგაზრდები ბევრს კითხულობენ, ბევრი რამ იციან. ნულკლასელები თითქოს თამაშით ეუფლებიან იმას, რისი დაუფლებაც საკმაოდ უჭირდათ ორმოცდაათიანი წლების მესამეკლასელებს. მაგრამ, აი, ნორჩ თაობაში აქა-იქ გაიელვებენ ხოლმე იოლი ცხოვრების მოტრფიალენი, პასიურად მჭვრეტელნი და მოთვალთვალენი, გულაცრილი სკეპტიკოსები და შრომისადმი გულგრილად განწყობილნიც. მართალია ისინი უმცირესობას წარმოადგენენ, მაგრამ ამ უმცირესობის არსებობაც იმას მიგვანიშნებს, რომ საქმე მთლად კარგად არ გვაქვს, აღმზრდელობით სისტემაში— ნორჩი მოქალაქის სულიერი სამყაროს ფორმირებაში.

სწავლების პოლიტექნიზაციას თავისი კეთილი ნაყოფი მოაქვს. მაგრამ, აღზრდის სფეროში, პოლიტექნიზაციის გვერდით, ესთეტიკურ აღზრდასაც ჯრანაკლები ადგილი უჭირავს. პოლიტექნიკურ აღზრდას იმისათვის კი არ ვეტანებით, რომ ბავშვებს საკუთარი ხელით ავეჯის გაკეთება ანდა ლითონის ხელსაწყოთა გამოჩარხვა ვასწავლოთ, არამედ იმისათვის — რომ შრომისადმი სიყვარული და მონიწება ჩავუნერგოთ. ასეა ესთეტიკური აღზრდის დროსაც, ბავშვებს მსოფლმხედველობა უნდა გავუფართოოთ, შევაყვაროთ მშვენიერება, სიკეთე და მაღალზნეობა. სწორედ ამისთვის არის გამიზნული დედაქალაქის 56-ე სკოლის ექსპერიმენტიც. აქ ხომ ერთმანეთს ერწყმიან ესთეტიკურიც და ეთიკურიც: გარემოს ესთეტიკას მორალური ნორმის ეთიკამდე მივყავართ. დანელი მგელაძის მიერ ჩატარებული გაკვეთილებიც ადამიანური ურთიერთობის ეთიკისა და მშვენიერების ურთიერთკავშირის ძიებაა. ამიტომაც, ამ გაკვეთილებზე პედაგოგი დიდ დროს უთმობს ხელოვნების ზნეობას. იგი ბავშვებს უხსნის, რომ ნამდვილი შემოქმედისთვის ფუნჯის და საჭრეთლის ხმარება, და თვით სიუჟეტის არჩევაც — ესთეტიკურისა და ეთიკურის ერთდროული პოზიციაა. იგი ეხმარება მოსწავლეებს: აღმოაჩინონ ხელოვნებაში ჩაქსოვილი მაღალზნეობრივი და მოქალაქეობრივი აზრი; მათ გარეშე ხომ შეუძლებელია ჭეშმარიტების შთაგონებული ძიება. ლენინური კომკავშირისადმი მიძღვნილ სასკოლო გამოფენაზე წარმოდგენილი პოლიტიკური პლაკატებიც ხომ იმაზე მიგვითითებენ, რაოდენ ღრმადაა გამჯდარი ნორჩ მხატვრებში პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი სახვითი ხელოვნების გაკვეთილებზე მოსწავლეები არა მარტო ფერთა და ფორმათა კანონებს ეცნობიან, არა მარტო კომპოზიციასა და კოლორიტს ეუფლებიან, ისინი სიკეთის, სამართლიანობის, პატიოსანებისა და ვაჟკაცობის კანონსაც წვდებიან. ხელოვნება მათი ცხოვრების სახელმძღვანელო წიგნია. ბავშვები ხატავენ „სამშობლოს", „გმირობას", „გამარჯვებას", „სიხარულს", „მეგობრობას", „შრომას". ისინი ადიდებენ საკუთარ ხალხს, საკუთარ მიწას!

გოგონები და ბიჭები ოცნებობენ!

ბიჭები და გოგონები ხატავენ...

**ვახტანგ ამირანაშვილი**

---

*სიტყვა ღირსეულ ექიმზე*

# პატივცემული საპატიო მოქალაქე



მოუხერხებელ ხვეულ კიბეზე ფრთხილად ჩამოდიოდა ახალგაზრდა ქალი. ხელში ვარდისფერი ბაფთებით მუთაქასავით გაკრული პატარა შეკვრა ეჭირა.

— რა ვქნათ ახლა ჩვენ, სულ შენი ბრალია, რომ დაგვიგვიანდა, ვერ გაიღვიძე ცოტა ადრე?!

— ა ღ უ, — გაისმა პასუხად.

— ნამდვილი ძილისგუდა ხარ!

— ხომ არაფერი გიჭირთ? — ჩავერიე დედა-შვილის საუბარში.

— პირველი აცრისათვის მოვიყვანე. ჩვენმა ექიმმა კი გაგვასწრო.

— მობრძანდით, ყველანი თქვენი ექიმები არა ვართ?!

— გულღიად მივიპატიჟე ჩემი მხრიდან.

ქალი შეყოყმანდა.

— წამობრძანდით!

ყველაფერი რიგზეა. სისხლის ანალიზიც კარგი ჰქონია, — ჩავილაპარაკე ბავშვის გასინჯვის შემდეგ კმაყოფილმა და ისტორიაში ჩაწერაც დავაპირე, რომ ქალის ხმა მომესმა.

— უკაცრავად, მაგრამ ნუ ჩაწერთ, ხვალ მაინც დარეჯან ექიმს ვაჩვენებ, თქვენი კი დიდი მადლობელი ვარ.

პროფესიულმა თავმოყვარეობამ სახე შემიფაკლა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წუთით.

— თქვენი ნებაა, როგორც გნებოთ.

ბარაქალა, დარეჯან ექიმს, — გავიფიქრე მარტოდ დარჩენილმა, — მაგრამ ნეტა რომელია? (მე სულ რამდენიმე დღის მოსული ვიყავი პოლიკლინიკაში სამუშაოდ).

— დარეჯან ობოლაძეა მაგათი ექიმი, — ღიმილით მითხრა ბავშვის ისტორიის წასაღებად შემოსულმა უფროსმა მედდამ. ნუ გეწყინებათ, რომ არ აგაცრევინათ, თქვენ კი არა, ზოგჯერ პროფესორის დანიშნულებასაც არად დაგიდევენ და დარეჯან ექიმს უთანხმებენ ვერისუბნელები. ასეა, ოცდასამი წელია მაგათ ემსახურება.

მართლაც რომ არ არის იოლი საქმე ქვეყნის მომავლისათვის ზრუნვა და ფიქრი, ყველაზე „პრივილეგიური კლასის" ექიმობა. რამდენი შრომა, სითბო და სიყვარული სჭირდება უბნის პედიატრს იმისათვის, რომ იწამონ, ოჯახისათვის მახლობელ ადამიანად იგულონ.

არც ქალბატონ დარეჯანს მოსვლია იოლად ეს აღიარება.

— მახსოვს, სრულიად ახალბედა ექიმი ვიყავი, სულ რამდენიმე გამოძახება თუ მექნებოდა დამოუკიდებლად შესრულებული, რომ ერთ-ერთი ოჯახის კარი შევაღე. მე ჩემი გასაჭირი მქონდა — ვაითუ დიაგნოზი სწორად ვერ დავსვა, დანიშნულებაში რაიმე შემეშალოს, ან ყელში ჩახედვა დამავიწყდეს მეთქი... თურმე სულ ტყუილად ვიკლავდი თავს.

— გეთაყვა, გასინჯვა, არ გვინდა, უკვე გვყავდა, საავადმყოფო ფურცელი კი აუცილებლად დაგვჭირდება.

— კი მაგრამ, ბავშვი ხომ უნდა გავსინჯო! — ახლა უკვე ღიმილით იხსენებს ქალბატონი დარეჯანი მაშინდელ ტკივილსა და გაწბილებას.

— არა, ეს არ უნდა განმეორდეს, მე უნდა მენდონ, სხვაგვარად შეუძლებელია, — მაშინვე უფიქრია ახალგაზრდა ექიმს.

ვინ მოთვლის, რამდენი ბავშვი გაუსინჯავს დარეჯან ექიმს, რამდენი სიცოცხლე გადაურჩენია აშკარა საფრთხისაგან, ბევრი თავსამტვრევი და საფიქრალიც ჰქონია, ბევრი ღამეც დასთენებია წიგნებზე თუ ავადმყოფის საწოლთან, მაგრამ თავისი დიდი საქმის სიყვარული არასოდეს განელებია. არც სხვა პროფესია უნატრია და არც კლინიკაში გადასვლაზე უოცნებია.

— ინსტიტუტიდან პირდაპირ მე-14 პოლიკლინიკაში მოვედი სამუშაოდ, იხსენებს პოლიკლინიკის ახალგაზრდა განყოფილების გამგე გიული ფოფხაძე, — იმდენად რთული მომეჩვენა უბნის ექიმის საქმიანობა, რომ მაშინვე გადავწყვიტე ადგილის შეცვლაზე მეფიქრა. ვიცოდი, ეს თითქმის გაქცევას ნიშნავდა, კოლეგებისაც მერიდებოდა, მაგრამ რა მექნა. ჩემი შიში ქალბატონ დარეჯანს გავუზიარე.

— რას ბრძანებ, — ღიმილით მითხრა მან, წასვლა რა სათქმელია, თუნდაც მაგ შიშითა და მღელვარებით, თქვენ უკვე დაამტკიცეთ, რომ გიყვართ თქვენი პროფესია, ბავშვებისადმი გულგრილი არა ხართ, თავის შერცხვენა არ გყვარებიათ, ეს ძალიან კარგია.

უნდა დარჩეთ! — ეს თითქმის ბრძანებას ნიშნავდა ჩემთვის.

— ამის შემდეგ მის ისტორიებში მალულადაც რამდენჯერმე ჩამიხედავს და მასაც რამდენი რამ საგულისხმო უსწავლებია ჩემთვის, უსწავლებია პრაქტიკული და აუცილებელი საკითხები, რომლებსაც ინსტიტუტიდან ვერ მოიტანს ექიმი.

ადრე გავჭაღარავდიო, — სევდანარევი ღიმილით წამოსცდა ერთხელ, მაგრამ ჭაღარას როდი მალავს 800-მდე ბავშვის საიმედო ექიმი და სამი შვილის ღირსეული დედა.

დადის თბილისში დარეჯან ობოლაძე, თმაშევერცხლილი, სანდომიანი ქალი, ერთი შეხედვით სხვებისაგან თითქოს არაფრით გამორჩეული, ვერისუბნის აურჩეველი საპატიო მოქალაქე, დადის და ზრუნავს, რომ ხვალ უფრო ჯანმრთელმა, უფრო მოხდენილმა თბილისელებმა იარონ ჩვენს დედაქალაქში.

მედეა ქარციველი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# ლიდი
# მეგრ

ქართული ბიბლიოთეკა

ლიდია მეგრელიძე 1883 წელს დაიბადა.

გურიანთა. ოზურგეთი, აკეთი... ულამაზესი გურიის ფერადოვნება... და ამ ფერებში აღზრდილი ისმაილ მამულაიშვილის გოგონაც შემდგომში კალმის ოსტატი ხდება, „მიმქრალის" ფსევდონიმით აქვეყნებს ლექსებს, წერს ქრონიკებს „მშობლიური ცის ქვეშ", სადაც ცხრაას ხუთი წლის მოჯანყე გურია ბობოქრობს, გლეხკაცობა უშიშრად იბრძვის ცარიზმის შავბნელი რეჟიმის წინააღმდეგ, აწყობს ხალხმრავალ მიტინგებს და სიმართლის დროშა მართალ სიტყვასთან ერთად გამოაქვს უშიშრად. ლიდია მეგრელიძე ამ ამბების მომსწრედ და მემატიანედ გვევლინება თავის ქრონიკებში, სადაც თითქოს დამსჯელი ექსპედიციის მიერ ცეცხლში გახვეული გურია გიზგიზებს და მომავლის რწმენით აღვსილი ადამიანები ამბობენ: „ხალხის სიმართლეს ვერავინ დაუდგება წინ!" მაგრამ ლიდია მეგრელიძის უპირველესი მკითხველნი და დამ[illegible]ნი პატარები იყვნენ. პოეტმა ქალმა თავისი სადა, ორიგინალური ლექსებით მიაგნო მათი გულისაკენ მიმავალ გზას. ამ ლექსებს ბავშვებისადმი გულწრფელი, უზომო სიყვარული ასულდგმულებდა. ეს არც არის გასაკვირი; ქალბატონი ლიდია მრავალშვილიანი დედა გახლდათ და მისი ლექსების პირველი მკითხველი და შემფასებელიც ალბათ საკუთარი ხუთი გოგონა იყო. სახელგანთქმული ლოტბარის —

# ია
# ლიძე






ეროვნული ბიბლიოთეკა

ავქსენტი მეგრელიძისა და ლიდია მეგრელიძის ოჯახში ბევრმა მათგანმა ასახელა დედა და ბებია — ლიდია მეგრელიძე. მათ უყვართ ხსოვნა მშვენიერი ქართველი ქალისა, პოეტისა, უხარიათ, რომ მე-100 წლისთავზეც პატარები თითქოს პირველი სიახლით კითხულობენ ლიდია მეგრელიძის საყოველთაოდ ცნობილ ლექსებს: „ქეთოს მერცხალი“, „ჩემი ბურთი“, „ბრიყვი ყუწკაპუნა“, „ია და ბავშვი“, და კიდევ მრავალს, ასე რომ გაგვილამაზა ბავშვობა. ამ ლექსებს მკითხველი არასოდეს მოაკლდება და ესეც ხომ თავისებური უკვდავებაა!..

ლიდია მეგრელიძე

## ჩემი ბურთი

დიდი არის ჩემი ბურთი,
დიდი, ვეებერთელა,
ოთხი ციდა მუცელი აქვს,
ჩემი მკლავის ხელა.
ხელს დავკრავ და ავარდება,
გაგორდება, —
როგორ?
გუშინ თავი გაუტეხა
მეეზოვის გოგოს.
ამაგლიჯეს ჩემი ბურთი,
დაახალეს მიწას,
მაგრამ იცით, როგორც გიჟი
წამოვარდა იმწამს.
გადმოგორდა, დაეძგერა,
დიდი ფანჯრის მინას
და ზედ ცხვირზე დაასკუპდა
ჩემს ბებიკოს მძინარს.
წამოვარდა ჩემი ბებო:
„ქურდი, ქურდი, ქურდი...“
ქურდის ნაცვლად ხელში შერჩა
ჩემი კოხტა ბურთი.

## ია და ბავშვი

ნუ შემახებ პაწია ხელს,
ნუ, ნუ-მეთქი, ჩემო კარგო,
ის არა სჯობს, გავიფურჩქნო
და ბაღნარი მოგიქარგო?

მეც შენსავით პატარა ვარ,
გამახარებს შენი ცქერა.
ახლოს დაჯექ, გამაგონე
მხიარული შენი მღერა.

# ფიროსმანობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანახატი

მირზაანი პატარა სოფელია. ხალხიც თითქოს არაფრით გამოირჩევა, უბრალო, მშრომელი ადამიანები არიან. ამ სოფელს არც ომის გმირი ჰყოლია (თუმცა ბევრი წავიდა მეორე მსოფლიო ომში და ბევრმაც სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა თავი), არც შრომის გმირი ჰყავთ, მაგრამ მაინც ამაყობენ: განა ხუმრობაა — საქვეყნოდ აღიარებული ნიკალა ფიროსმანაშვილი მათი თანასოფლელია.

მირზაანის აღმოსავლეთ საზღვართან, ოდითგანვე ფიროსმანაანთ უბანი იყო. აქ ახლა ნიკალას ნახატთა საექსპოზიციო დარბაზები და სახლ-მუზეუმია.

რა თქმა უნდა, საგამოფენო დიდ დარბაზებში ვის არა აქვს ნანახი მისი ნახატები, მაგრამ მათ მის სოფელქვეყანაში, სულ სხვანაირი მადლი აქვთ. აქ განცდილი თქვენი მეხსიერებიდან არასდროს წაიშლება...

თუ დაინტერესდებით და ბებერი აკაკის ხესთან ასული აღმოსავლეთით გაიხედავთ, მხოლოდ გორაკებსა და ჯაგნარით დაფარულ ღარტაფებს მოჰკრავთ თვალს. შეიძლება ხედვით მისწვდეთ, — შორს, ნახევრად ტყეში შეჭრილ ლამაზ სოფლებს — ოზაანსა და ცლუნკაანს. დასავლეთით შემობრუნებულს თვალში მოგხვდებათ ფიროსმანის კარ-მიდამო, ბაღი და ვენახი.

მირზაანელი მშრომელები ამბობენ, ახლა კი მივუზომეთ ჩვენს ნიკალას ნორმაზე მეტი სამოსახლო, მაგრამ, აფსუს, რომ თავისი სამშობლო სოფლის მიწაში ვერ დაიმარხაო.

წითელწყაროს რაიონში, სამი მირზაანია, ნიკალას სოფელს კი პატარა მირზაანს ეძახიან. აქ დღესდღეობით სამასი კომლია. ადრე ჩამორჩენილი სოფელი იყო, დუნედ მისდევდა ცხოვრების დინებას. **1968** წელს გაერთიანდა ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობასთან, რომლის მოსახლეობა ათას სამას კომლამდეა. „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერიო“, და, პატარა მირზაანსაც დაეტყო გაერთიანების სიკეთე. საითაც გაიხედავთ, სულ ორსართულიანი შენობები წამოუჭიმავთ.

ფიროსმანობა ოქტომბერშია. შემოდგომა მის სამშობლოში ყოველთვის მაჭრისა და ხილის სურნელით იჟღენთება. ხეხილის სიმრავლისაგან ძლივს მოჩანს აივნებზე გაკიდული ჯაგნები და ახლადგავლებული ჩურჩხელები; მწვანე ფონზე, მზის ქვეშ ლაპლაპებენ მწიფე ლელვები. ზოგიერთს სიტკბოსაგან ტუჩი გაპობია და ფუტკრები მისევიან. ბროწეულები და კომშები წითელყვითლად ღუის, გეგონებათ უზარმაზარ „ბალჩა-ბეჭედში“ ძვირფასი ლალისა და გიშრის თვლები ჩაუსვიათო.

ფიროსმანობაზე მირზაანს ბევრი სტუმარი ჰყავს.



ქალი ყვავილებით და ქოლგით

ავტობუსები და მანქანები უწყვეტ ნაკადად მოედინება. თბილისიდან მოსულები, ზემო-მაჩხაანს რომ ჩამოსცდებიან, მკვეთრ მოსახვევს მოადგებიან. ამ მოსახვევიდან იწყება მირზაანი. მარცხნივ წყლის ნავია. ნავიდან გადმოსული წყალი, სტალინის ქუჩაზე ჩამწკრივებულ ალვის ხეებს ჩურჩულით ჩასდევს; ალვები წყნარ ამინდშიაც შრიალებს.

მკვეთრ მოსახვევთან ჩამობრუნებულ მანქანებს კარგა გვარიანი აღმართი აქვთ ასავლელი. მაღლა აივაკებენ და ძველისძველი კვირაცხოვლის საყდარი შემოხვდებათ. გზა სოფელზე გადის. ნელა მირონინობენ მომსვლელნი და გარემოს ათვალიერებენ. მალე გამოჩნდება გორაკზე აღმართული ალავერდის საყდარი. სწორედ აქ არის ფიროსმანის წინაპართა ძვალთშესალაგი. აქედან კი სულ ახლოს არის მისი სახლ-კარი.

მიყვარს ფიროსმანობა. იქ ჩასულს თვალში მეცა: საყვარელ ალვისხეს ფოთოლი ადრეულად შემოძარცოდა. გზის პირას ბაღში დიდი კაკლის ხე დგას. მისი ტოტების ჩრდილს მანქანების სავალი გზა აუფორაჯებია. ასფალტზე კროლა კაკლები ეყარა. მანქანამ გვერდზე ჩამირბინა. კაკლებს ჭყატა-ჭყუტი აუყენა, ნიგოზი ასფალტს მიასრისა და ცხიმიანი კვალი დატოვა. კაკლის ხეს ავხედე და, ოთხმოცი წლის ხუციშვილი რომ დავინახე, გაკვირვებულმა შევძახე:

— სოლომონ ძიავ, გამარჯობა! მანდ რამ აგიყვანა? შვილიშვილებს ვერ ჩამოაბერტყინე?

ჯერ სალამი დამიბრუნა, მერე ჩაიცინა და თქვა:

— ისინი ყოველდღე ბერტყავენ თავიანთ სამყოფს, მე ზამთრისთვის უნდა შევინახო. შემოდი, ბევრს ნუ ლაპარაკობ, მიშველე კაკლის აკრეფაში, თორემ „ფიროსმანობაზე“ დამიგვიანდება. ერთად წავიდეთ ხინკლის მოხვევას გვიშველი, განა მარტო ჩვენია ნიკალა? შენც მასპინძელი ხარ დღევანდელი სტუმრებისა. დავალევინოთ ყველას იმისი შესანდობარი, იმ სულკურთხეულისა.

შევედი და კაკალს აკრეფა დავუწყე: ზოგ-ზოგი ისევ თამბაქოსფერ ლენჯოშია გახვეული, ზოგს სამოსი გაუძვრია და ბალახებზე გაგორებულს ბაცი ვარდისფერი დაჰკრავს შეუმშრალს, ზოგიერთს სამოსი ხეზე შეუტოვებია და დედიშობილა გადმომხტარა; ორ კაკალს ერთმანეთზე შევატყუპებ და ხელით ვამტვრევ, მაძღარია ლებანი.

...თბილისიდან ჩამოსულები ზემომაჩხაანს რომ ჩამოსცდებიან, მკვეთრ მოსახვევს მოადგებიან. ამ მოსახვევიდან იწყება მირზაანი! — ფიროსმანის მირზაანი!

თინა მირზაანელი



ორთაჭალის ტურფა

ბადრი სვანაძე

# ივლიტა

მოთხრობა

— აი, შენ არ მოაწიე, ივლიტია, აქამდე! — მიაწყევლა ბებიამ, როცა გავარვარებული თიხის ყუა საკეცეა შერჩა, ხოლო დანარჩენი ბუხრისპირას დაგებულ აგურებზე ნაწილ-ნაწილ დაიფშვნა.

გამწარებული ბებია, ჯერ ერთადერთ კეცზე დაკრულ მჭადს დააჩერდა, მერე მზერა შქერის ფოთლებწაფარებულ ცომზე გადაიტანა, სულ ბოლოს ნაკვერჩხლებს ჩააშტერდა და ალბათ იმ წუთში ყველაზე სწორი გადაწყვეტილება მიიღო: მუგუზლები მიყარ-მოყარა, ღადარი საკეცეთი გამოქექა და ცომს ნაცარში მოადენინა ბათქანი.

— ხომ დაგვხოცა, იმ ულმერთომ, ნახშირიანი მჭადის ჭამით, ა? — დაიჩივლა ბებიამ და შქერის ფოთლებით სავსე კარანჩხა ხელიდან გამომტაცა, — არ მჭირდება ახლა მე, შენი მოხმარება; გადადი მარუსიასთან და გაიგე: იყო თუ არა დღეს ივლიტიე ბაზრობაზე, ანდა თუ იცის, როდის აპირება აქეთ გამოშავებას?!..

უხმოდ შევბრუნდი და კარაპინს გადავაფრინდი.

კარგა ხანია არ გამოჩენილიყო ცალხარშებმული ურმითა და მუდამ გამურული შვილიშვილით — ჩემი ტოლა რეზოთი ივლიტა მეკეცე ჩვენს სოფელში. იგი ყოველი თვის ბოლოს, კვირაობით მოდიოდა, ურემს ორღობის თავში, აკაციასთან მიაყენებდა და კოფოზე წამოსკუპებულ შვილიშვილს გახედავდა. რეზომ იცოდა თავისი საქმე: „კეცები! კეცები!“ რამდენჯერმე დაიწკრიალებდა და, თან ბებიას ულლის შესადგმელ „კონკილას“ გადააწოდებდა...

მუშტარი თავს მოიყრიდა თუ არა, ივლიტა, წაფარებულ ფოთლებს ფარდის ერთ კუთხეში მიხვეტავდა და... იმ წუთს კეცებიც უზარმაზარი ნაკვერჩხლებივით ელვებდა! მერე, ერთ-ერთ „ნაკვერჩხალს“ აიღებდა, კენჭს რამდენჯერმე შემოჰკრავდა და გვერდზე გადგებოდა.

„ნაუ-ნაუს“ ხმაზე ბავშვები ხვლიკებივით გავძვრებოდით დიდებში და ურემს შემოვეხვეოდით. თუ კი ვინმე დაგვიცაცხანებდა, მაშინვე ივლიტა გამოგვესარჩლებოდა: — რა იყო, ქალებო, ბაღნობა არ გამოგიცდიათ? მოდით, ბებია, მოდით, აირჩიეთ, თქვენაავით კვარაკუნჩხა კეცებიც ქე წამევიძლვანიე...

ცხადია, „კვარაკუნჩხები“ ყველას არ გვყოფნიდა, მაგრამ გულდაწყვეტილებს ისევ ივლიტა ამშვიდებდა: — მომავალ იარმუკობაზე აუცილებლად ჩამოგიტანთო... ბავშვებმაც იცოდნენ, იგი პირობას არ გადავიდოდა და ზოგს ცივი წყალი მოჰქონდა მოხუცისათვის ქიდან, ზოგს — ხილეული; ჩემი კეცის ჭადით რომ ხართ, ბაღნებო, დაზრდილები, იმიტომ ხართ ასე კარგებიო, — ეფერებოდა იგი პატარებს და ნაღვლიანად ილიმებოდა.

და ახლა, აგერ, ორ თვეზე მეტი იქნებოდა ბებიას და შვილიშვილს არ გამოევლოთ... გახშირდა კეცების თხოვნა-განათხოვრება, ივლიტას მიმართ კი — საყვედურები.

ასე იყო შარშანაც, მთელი ორი თვე არ გამოჩნდა და, იმატა ღადარში ხელებდათუთქული ქალების საყვედურებმა. თურმე ტყუილ უბრალოდ ანიორწყლებდნენ მეკეცეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ნანი შალიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ დღეს, მეზობელ სოფელში, რომელიღაც შორეული ნათესავის დაკრძალვაზე წამიყვანა ბებიამ, დიდხანს არ დავრჩენილვართ. წინა ბაზრობაზე გაყიდული მამალი ინდაურის საფასური რომ ჩაუთვალა „მეშაბაშეებს“, ხელი ჩამკიდა და ეზოში გაჭიმულ სეფას გამარიდა.

უკან სხვა გზით ვბრუნდებოდით. კარგახნის სიარულის შემდეგ, ღელისპირას, ერთ დაფეხვილ ქოხთან შევჩერდით. ეზოს კუთხეში, ტოლნაფარებულ ბოსლისმაგვარში, ახლადგამოყვანილი კეცები იყო განკაპული გასაშრობად. მოშორებით კი, კეცების გამოსაწვავი ახრჩოლებული ცეცხლიდან ნიავს კვამლთან ერთად დამწვარი ჭინჭისა და რეზინის სუნი მოჰქონდა. ქოხის წინკარში, მზის გულზე, ჩვენგან ზურგშექცევით, მოხუცი ქალი სოიის საფშვენ კეტს ისე მონდომებით სცემდა აზვინულ მიწას, ვაჟკაცსაც შეშურდებოდა...

გუმანით მივხვდი, ჩვენ ახლა ივლიტა მეკეცის ალაგესთან ვიდექით. ბებიამ განუშორებელი „პრავიზიონკა“ ღობის სარზე ჩამოჰკიდა და ეზოში დაუძახებლად შევედით. სმენადაქვეითებულ ივლიტას ჩვენი მიახლოება არც გაუგია.

მოხუცი სოხანეზე ჩამჯდარიყო, კაბა აეკაპიწებინა და გაჩაჩხულ ფეხებზე, მუხლამდე, მიწის ზვინული ეყარა; ისე ჩანდა, თითქოს მომჩვარულ ბარძაყებზე დაბერილი ლურჯი ძარღვები იმ ზვინულიდან გამოდიოდა. კეტის ყოველ მოქნევაზე ტალახის შხეფები ისე ცვიოდა, ქოხის კედლები საფანტით დაცხრილულსა ჰგავდა...

— დააყენე, ქალო, მაი კეტი, ამევითხუპნეთ ერთიანად, — ჩაჰყვირა ბებიამ ყურში.

ივლიტამ მოიხედა, გაგვიღიმა, კეტი აფაფებულ მიწას შეატოვა და გაჭირვებით წამოდგა.

კაბის კალთა რომ ხვანჯრიდან გაათავისუფლა და შემობრუნდა, კინაღამ უსირცხვილოდ გამეცინა: მოწითალო ტალახით აპრიალებული ფეხებითა და მიტკლის უსახელო პერანგში წაყრილი მათრახის სიმსხო მკლავებით სამასხარადოდ შემზადებულ ცირკის მსახიობს უფრო ჰგავდა, ვიდრე მეკეცე ივლიტას.

— სად დაიკარგე, ქალო, ამდენხანს?! — სალამთან ერთად მიახალა ბებიამ.

— ეჰ, ნუღარ მკითხავ, სონიას ვენაცვალე, ჩაიწურა ტალახი ხელებზე ივლიტამ, — ბიჭი გამიხდა ავად, ანთება შეეყარა... გადამირჩინა, გონია, ღმერთმა...

— რაზე შეეყარა, შე უბედურო?!

— გაოფლილს უბანავებია მდინარეში და... კინაღამ სიცხით დემეწვა ბაღანე. სიცხე და დუღარე არ მოეშალა მის დედ-მამას... სანამ ცოცხალი ვარ, წყევლას არ მოვაკლებ არცერთს, — წყლიან ვედროში ამობანილი ხელები კაბაზე შეიმშრალა მოხუცმა და ტყემლის ჩრდილისაკენ გაგვიძღვა.

—მას მერე არ გამოჩენილან, ხომ? — იკითხა ბებიამ.

— ისე ვაი იქნა იმათ თავს... დეერიენ ერთმანეთს... ეს ბაღანე მე შემატოვეს და აგერ მესამე წელიწადი თავდება, ერთი ალთას დეეხეტება და მეორე ბალთას... თუ არ უნდოდათ, რას დგამდნენ მის ცოდვაში ფეხს? ანდა, თუ ატყობდნენ, ერთმანეთთან არ გეეძლებოდათ, თავში სად იყვნენ, ულმერთოები?! — სარეცხივით გაწურა სევდა თვალებში ივლიტამ; — მარა, — განაგრძო ცოტა ხნის შემდეგ, — თუ ვიცოცხლე, მე გავზრდი ამ ბაღანას და შევხედავ ერთი, მერე რა პირით შეხედავენ...

ერთხანს მოხუცები სივრცეს მიშტერებოდნენ და შიგადაშიგ ოხრავდნენ.

— ივლიტა, მოსული ვარ მაინც და ერთ ხუთიოდე კეციას წევიძღვანიებ... კი მაქ მარა, ან სტუმარი მევიდეს, ან მეზობელს დასჭირდეს, ხომ იცი... დაარღვია დუმილი ბებიამ.

— კი, ბატონო, წეიღე, მარა, რაზე იწყვეტავ წელს? შეიცადე ორი-სამი დღე და ჩემი ხელით მოგიტან სახლში...

— მოხვალ, აბა, ამ ბაზრობაზე?

— აბა, სად წავალ, შე ქალო, ამათ გასაღება არ უნდა? — გაახედა მეკეცემ ბებია ფარდულისმაგვარისაკენ.

— გაგახარა ივლიტა ღმერთმა... კაი, აბა, წავალ ახლა მე. მეზობლებსაც გადავუძახებ.

— მოიცა, თუ ქალი ხარ, მოიცა, სად წახვალ. ამოდენა გზა გამოგივლია და შენ თუ არა, ბავშვს მაინც მოშივდებოდა... ღვთის მადლით, ცოტ-ცოტა ყველაფერი მომეძებნება!

— არა, არა, ივლიტა! წავალთ ახლა... არც ისეთი გრძელი გზაი გვაქვს სახლამდე... ბაღანას მიხედე... უთხარი: კილოიანი ბანკით ღელვის მურაბა მაქ შენთვის გადანახულითქვა... აბა, კარგად მეყოლე!

— შენ მაინც არ დამემდურო, ცირაია, ბებია! — ნაწნავებზე მომეფერა ივლიტა და ალაგემდე გამოგვაცილა...

* * *

— „შუადღემდე ველოდე, მაგრამ არც დღეს გამოჩენილა ივლიტა მეკეცე ბაზარზეო“, — გადავეცი ბებიას მარუსიას დანაბარები.

აბა, სად მოუსავლეთში წევიდაო, არ უთქვამს?

— არა-მეთქი, — თავი გავიქნიე მე.

შენც კაი მაკვარანცხი ხარ, მარა... გადი, და წიპიებს ჭინჭარი მოუზიდე, ფარეხშია კარდალით ჩამოკიდებული... დუღარე ჭამა ივლიტიას პირმა! — თავისებურად დაილოცა ბებიამ, და ის-ის იყო გაქცევას ვაპირებდი, „კეცები! კეცებიო!“ — მოისმა ნაცნობი ხმა ორღობის თავიდან.

— შენ გეიხარე, ივლიტა ქვეყანაზე! — უცბად გაიბადრა ბებია და ფუცხუნით უკან დამედევნა.

აკაციის ჩრდილში, ცალხარშებმულ ურემთან რეზო იდგა და იღიმებოდა.

— ივლიტა სად არის, ბიჭო? — ჰკითხა ბებიამ მიახლოებისთანავე.

— დღეიდან არ მოვალთ! — გაიჭყანა რეზო.

— რას იკრიჭები, შე ეშმაკისერთო, თქვი სიმართლე! — აშავთავსაფრდა ბებია.

— ბებიას სავაჭრო ფარდული გაუხსნეს... მოსწავლეებიც გაიჩინა...

— რა სავაჭრო... რის მოსწავლეები... მე შენ გელაპარაკები, რეზოია, წესიერად თქვი — ფარდაში ხელი მოაფათურა ბებიამ.

— სიმართლეს გეუბნები, სონია ბებია, სიმართლეს! — შეშინდა რეზო, — გუშინწინ თავმჯდომარე და ვიღაც უცნობი მოგვადგნენ კარზე; პატივცემულო ივლიტაო, უთხრეს ბებიას, რასაც შენ აკეთებ, ეს წმინდა საქმეაო... ბრწყინვალე ხელოსანი ყოფილხართო... ამ არემარეზე, მარტო თქვენ დარჩით, ტრადიციას კი გაგრძელება უნდაო... ხვალ ჩვენი სკოლის უფროსკლასელები მოვლენ, შეასწავლე მათ თქვენი ხელობა, შთამომავლობა კეთილად მოგიხსენიებსო... დღეიდენ სოფელ-სოფელ სიარული არ დაგჭირდებათ, სოფლის ცენტრში ყოფილი აფთიაქის შენობა გადმოგეცათ, იქ გამოფინეთ თქვენი ნახელავიო.

— ქალებო, ახალი ამბავი გეიგეთ? — მიექაქანა ბებია ორღობეში შემოსულ დედაკაცებს, — ივლიტა გაუჩიტელებულა, ბეჩა, ივლიტა!

— ვინ ქალო, რაფრა?

—რაფრა და კამფრა: — დუქანი გოუხსნიათ ივლიტასთვის, უჩენიკებიც ოუყვანია, — და სულმოუთქმელად მოუთხრო ქალებს, რაც რეზოსაგან მოისმინა.

— გეიხარე, გაუხარებელო ივლიტა, გეიხარე! — ზეცას ასძახეს ხელებგაშლილმა ქალებმა და ურემს შემოეხვივნენ.

მუშტრებმა ნახელავს გადახედეს, რეზომ კი — მუშტრებს.

— რას უყურებთ, ნახევარი ჩემი გაკეთებულია, ბებიასაგან გადავიღე... ჩემი ხელით...

მერე, თუმცა კეცების უმრავლესობას უივლიტობა ეტყობოდა, შერჩევა არავის დაუწყია, რაც უნდოდათ, იმაზე მეტი მიჰქონდათ.

— თქვენ რატომ არ იღებთ? — გვკითხა შორიახლოს თავშეყრილ ბავშვებს რეზომ.

ამის თქმა იყო და „კვარაკუნჩხებისათვის“ შეტევაზე გადავედით.

— შენ მოიცა, — გადამიდგა რეზო; ფარდის კუთხეში მიხვეტილ ფოთლებში ხელი მოაფათურა და მინიატურული, ვარდისფერი კეცი გამომიწოდა: კეცის გულში ჩემი სახელი ამოვიკითხე!.. ერთხანს თვალდაუხამხამებლად მიყურა, მერე, ულელა „კონკილა“ გამოაცალა,

ფარდში ჩააგდო და

თვითონაც ურემზე ავიდა.

გაბზარულ კეცზე დაყრილ ფულებს თვლა დაუწყო.

ებევრა და ხალხს გადახედა.

„ნისიები გვქონდა და მოგიტანეთო“, — უთხრეს.

გულიანად გაიღიმა.

მერე, ჯიბიდანაც ამოიღო, ნავაჭრს ნავაჭრი მიუმატა, მუჭში მოკეცა და მხიარულად შეუძახა: — მე წავედი!..

ქალებმა ათასგზის მოკითხვა-სალამი დააბარეს ივლიტასთან.

რეზოს წასვლისას ძალუმად ვიგრძენი, თუ როგორ შემიფართხალდა ბავშვური გული ძუის მახეში გაბმულ გულწითელასავით.

## პატრიოტული აღზრდა

# „ვენაცვალე შენს მშობელ დედას!“

„დიდგორის ომში გაუმარჯვებლად ჩვენს ხალხს არც თამარ მეფის ხანა ექნებოდა და, ალბათ, არც შოთა რუსთაველი ეყოლებოდა“.

რა შეიძლება დავუმატოთ სარგის კაკაბაძის ამ ჭეშმარიტებას? უსათუოდ სტატიის სათაურიც: „ვენაცვალე შენს მშობელ დედას!“. იგი კომუნისტის—გამოჩენილი ქართველი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის, პროფესორის, მაიორ დავით ჯაბიძის მიმართ არის ნათქვამი. ეს სიტყვები ამაღელვებელი გრძნობით წარმოთქვა დიდი სამამულო ომის დროს ერთ-ერთი საჰაერო ბრძოლისას საბჭოთა კავშირის გმირმა გიორგი ინასარიძემ. აი, როგორ მოხდა ეს:

სამხრეთ უკრაინაში დნეპრის თავზე საჰაერო ბრძოლები მიმდინარეობდა. გამანადგურებელი ესკადრილიის მეთაური დავით ჯაბიძე თავის გამყოლ სლავა გონტარენკოსთან ერთად დავალების შესრულების შემდეგ „იაჩოკებით“ აეროდრომზე ბრუნდებოდა. მარცხენა მხარეს მფრინავებმა საჰაერო ბრძოლა შენიშნეს და იქითკენ გაეშურნენ.

ორი ჩვენი მოიერიშე „ილუშინ-2“ წრეში ჩამდგარიყო და — „მესერშმიტების“ სასტიკ შეტევას იგერიებდა უთანასწორო ბრძოლაში.

„კარგ დროს მიუსწრო ჯაბიძის წყვილმა. მოიერიშეებმა (ერთი მათგანი მფრინავი შ. ინასარიძე იყო), იცნეს მოძმე „იაჩოკები“ და, ცხადია, გაუხარდათ, გულს მოეშვათ.

— აბა ახლა გაყურებინებთ სეირს! — მოესმა ჯაბიძეს ქართული მუქარა და რაღაც აუწერელი სიამე იგრძნო.

— ბიჭოს, ეს ვინ უნდა იყოს?! ვინ მღერის ასე გემრიელად ჩემს დედაენაზე? — გასძახა დავითმა ქართულად და შეტევაზე გადავიდა. ქართველი მოიერიშისათვის იმდენად მოულოდნელი იყო ქართულად ნათქვამი, რომ იფიქრა, ხომ არ მომეჩვენაო.

ერთ წამს დაავიწყდა კიდეც, სად იყო, ხან ერთ „იაჩოკს" გადახედავდა, ხან მეორეს, თითქოს ნაცნობი სახის დანახვას ლამობსო.

ამასობაში ჯაბიძემ „მესერშმიტს" ცეცხლი დაუშინა.

— უჰ, ვენაცვალე შენს მშობელ დედას! დასცხე მაგ რჯულძაღლს! — ჯაბიძეს კვლავ მოესმა ქართული და გაეღიმა".

მკითხველი ახლახან გაეცნო დავით ჯაბიძის საბრძოლო და შრომით ქრონიკას „საერისკაცო დვაწლში", რომელიც საზოგადოება „ცოდნამ" გამოსცა. ეს გულშიჩამწვდომი ნარკვევი საბჭოთა ასს მიუძღვნა ცნობილმა ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ, დიდი სამამულო ომის ვეტერანმა მიხეილ დავითაშვილმა. ხოლო დავითის დედის, ექვსი შვილის მშობლის, ოლღას ლამაზ ცხოვრებას დიდი ხანია ვიცნობთ გენერალ დიმიტრი შანშაშვილის საინტერესო მემუარული წიგნიდან — „მამაცი შევარდნიდან".

დიდგორის ომიდან ქართველი საბჭოთა ასს-ების დევგმირობამდე საუკუნეები გავიდა და, ერთი შეხედვით, მათ შორის მჭიდრო კავშირი თითქოს არ უნდა არსებობდეს. მაგრამ ეს შინაგანი მემკვიდრეობითი კავშირი გმირული ისტორიისა ნათლად დაინახა გალაკტიონის გენიამ სოციალისტური ცივილიზაციის დიად ეპოქაში. ჯერ კიდევ 1932 წელს: „რწმენით იარ, რწმენით იარ, მტკიცე გჭონდეს ბიჭი, ყველა ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი". ასე იყო და ასეა...

განა გალაკტიონის „იდეა", ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები", მარიჯანის „ბედნიერი ვარ", ლადო გუდიაშვილის ბატალური ფერწერა „ტაშისკართან", ევგენი ვუჩეტიჩის „სტალინგრადის ეპოპეის მემორიალური კომპლექსი", მერაბ ბერძენიშვილის სკულპტურული ჯგუფი „კიდევაც დაიზრდებიან" და ხელოვნების სხვა უკვდავი შედევრები მკაფიოდ არ გამოხატავს ისტორიულ მემკვიდრეობითობას ქართველი დევგმირებისა და ღვიძლი მშობელი დედებისას?!.

დიდმა ილიამ შემთხვევით როდი წარუმძღვარა ეპიგრაფი „ქართვლის დედას": „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა".

ქართველი დედა აკვანშივე უმღეროდა თავის პირმშოს სამშობლოს სიყვარულზე, ქვეყნისათვის თავდადებასა და ვაჟკაცობაზე. უამისოდ საქართველო ვერ გაუძლებდა ურთვალავი მტრის მრავალგზის სასტიკ შემოსევას; ვერ შეინარჩუნებდა თვითმყოფადობას და ფიზიკურ არსებობასაც კი, ვიდრე ერის შორსმჭვრეტელი წინაპრები რუსეთს დაუმეგობრდებოდნენ და გეორგიევსკში პირველ ისტორიულ მანიფესტს მოაწერდნენ ხელს.

ხალხში არსებული სამშობლოს სიყვარულის, ერთგულებისა და გმირობის ტრადიცია საუკუნეებით ყალიბდებოდა და თაობიდან თაობაში გადადიოდა.

რა თქმა უნდა, მშრომელი ადამიანისათვის სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულს, დიდი ოქტომბრის ისტორიულ მონაპოვართა მტკიცე დაცვის აუცილებლობას ღრმა კლასობრივი და ინტერნაციონალური შინაარსი მიეცა. ამიტომ იყო, რომ ახალი საზოგადოების დამცველთა მასობრივმა სასწაულებრივმა გმირობამ მთელი მსოფლიო განაცვიფრა, თავისუფლება და მშვიდობა მოუტანა ხალხებს.

ასე იყო ბრესტში, მოსკოვთან, სტალინგრადის ეპოპეაში და კავკასიაში, კურსკთან, „ბაგრატიონის" და იას-კიშინოვის ოპერაციებში, დნეპრის და ვისლის მიდამოებში, კარპატებსა და ალპებში, ბერლინის ბრძოლებში.

განა ფაშისტთა ურდოების სრული კაპიტულაციის პირველი სტრიქონები არ იწერებოდა საბჭოთა სამშობლოს გმირ დამცველთა წმიდათაწმიდა სისხლით ლეგენდარული ბრესტის კედლებზე?

აქ აგრესორის ამ ვერაგული დარტყმის დროს ციხე-სიმაგრეში დარჩა და ბრძოლაში ჩაება ქართველი მეთაურის მეუღლე თამარ ჯიჯიშვილი.

თამარი, ისევე როგორც ლადო გუდიაშვილის მამაცი ქართველი ქალი, გიორგი საკაძის დევგმირები და იაკობ გოგებაშვილის ინგილოელი ქართველი დედა, მოუწოდებდა გმირ თანამებრძოლებს „მომკვდარიყვნენ, მაგრამ არ დანებებულიყვნენ ვერაგ მტერს". ქართველი დედის ეს მგზნებარე მოწოდება მთელი დედა-სამშობლოს მოწოდება იყო და ბრესტის ლეგენდარული დამცველებისათვის ამაღლებულ დევიზად იქცა.

საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად სოციალისტური სამშობლო სამარადისოდ განადიდეს საქართველოს შვილებმა. ბრესტში დიდებული კომპლექსური მემორიალის მარმარილოს სტელებზე ოქროს ასოებით არის ამოჭრილი უკვდავი სახელები. მათ შორის ოთხი რაინდი საქართველოს წარგზავნილია:

„რიგითი ზედგინიძე ივანე იასონის ძე", „უფროსი სერჟანტი შევარდნაძე აკაკი ამბროსის ძე", „პოლიტხელმძღვანელის მოადგილე ასათიანი ონისიმე ივანეს ძე", „რიგითი ბოსტაშვილი ირაკლი ალექსანდრეს ძე".

ბრესტის ციხე-სიმაგრის ბრძოლების მონაწილის, ჩვენი გამოჩენილი მწერლის ალექსანდრე კალანდაძის, გენერალ ნიკოლოზ კალაძის, ჟურნალისტ დიმიტრი ბაზალეიშვილისა და სხვა წითელკვალისმაძიებელთა წყალობით ცნობილი გახდა სამასზე მეტი საქართველოს წარგზავნილი. მათ შორის, საბედნიეროდ, ბევრნი ახლაც ცოცხალი მემატიანეები არიან ამ უკვდავი გმირობისა. თამარ ჯიჯიშვილმა კი, ვაჟკაცობასთან ერთად, შესძლო გადაერჩინა თავისი შვილი თამაზი და 1944 წელს თბილისში დაბრუნდა. თამაზი ამჟამად საქართველოს დედაქალაქში მოღვაწეობს.

დიდი სამამულო ომის მონაწილე მამაც მეომართა ქართველი დედები, როგორც ლენინმა განჭვრიტა, ჩააგონებდნენ თავიანთ პირმშოებს: „მალე დიდი გაიზრდები, შენ მოგცემენ თოფს. მაგკიდე ხელი და კარგად ისწავლე სამხედრო საქმე, ეს მეცნიერება აუცილებლად საჭიროა პროლეტარიატისათვის".

ვინ არ იცნობს ამ მავალი კლასის დიად საქმეთა დამცველ ოფიცერთა დიდებულ წარმომადგენლებს, რომლებიც მოძმე ერთა შვილებთან ერთად მუსრს ავლებდნენ სოციალიზმის ქვეყნის მტრებს დედასამშობლოს თავისუფლებისათვის: ვასილ კიკვიძე, ნესტორ კალანდარიშვილი, ვლადიმერ ჯიქია, ოთხი ძმა ლეხელიძე, პორფილე ჩანჩიბაძე, ვასილ სტალინი, ვლადიმერ ჯანჯღავა, ვლადიმერ ნანეიშვილი, ერმალოზ კობერიძე, კირილე ჯახუა, ვლადიმერ ხუბულური, გიორგი ყურაშვილი, მამაშვილი ცხოვრებაშვილები, ჰიჰიკო ბენდელიანი, იაროსლავ იოსელიანი, ვასილ გაგუა, გერონტი წიტაიშვილი, პუსეინ ბეჟანიძე, სავლე წერეთელი, გიორგი შენგელია, და-ძმა ჯაშები, ირაკლი არსენიძე... გმირთა უმეტესობა ამჟამად არ არის ჩვენთან. მაგრამ მამაც ნიჭიერ მეთაურთა ნათელი სახეები მუდამ სამაგალითო იქნება მადლიერი თაობებისათვის.

ისიც საგულისხმოა, რომ წინათ ოფიცერთა კორპუსის შემადგენლობაში გაბატონებული კლასის წარმომადგენლები იყვნენ.

სინამდვილე გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში მეთაურთა უმეტესობა მტერზე სრულ გამარჯვებას მოესწრო. — პოეტის, უფროსი ლეიტენანტის სევერიან ისიანის თქმისა არ იყოს, — „მოესწრო ზეცის ამგვარ გამოდარებას" და მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა. ეს ალბათ იმიტომაც, რომ პატრიოტები კარგად ფლობდნენ სამხედრო მეცნიერებას.

შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოეთის ქვეყნის ხალხთა გულების მტკიცე კავშირის 60 წლის საზეიმო დღეებში იშვა დიდი პატრიოტული და ინტერნაციონალური თაოსნობა — ყოველი სასწავლო კლასიდან სულ ცოტა ერთი საუკეთესო ჭაბუკი მოემზადებ ქვეყნის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში შესასვლელად, საბჭოთა ოფიცრის საპატიო პროფესიის დასაუფლებლად, კ. ლესელიძის სახელობის სპეციალურ სკოლაში სასწავლებლად.

ასე იყო იმ ძლევამოსილ პირველი ხუთწლედების — სოციალიზმის სიჭაბუკის დაუვიწყარ დროსაც.

დედ-მამამ შუშანა და ზაქარია სამსონიძეებმა ცხრა შვილი აღზარდეს. ოთხი შვილი — შალვა, მიხეილი, შოთა და დავითი სხვადასხვა დროს დაეუფლნენ სამხედრო მეცნიე-

რებას ქვეყნის სამხედრო სასწავლებლებში. დედამ და დებმა ისინი სამამულო ომის ფრონტებზე გააცილეს... ოთხივე ძმა მტერზე სრულ გამარჯვებამდე ვაჟკაცურად იბრძოდა, უნარიანად მიუძღოდა თავის თანამებრძოლებს განმათავისუფლებელ ბატალიებში. ოთხივე ძმა, მართალია, დაჭრილები, მაგრამ დაჯილდოებულნი, მკერდდამშვენებულნი, ვალმოხდილნი დაუბრუნდნენ მართლაც რომ ბედნიერ და კეთილშობილ დედას — შუშანას.

მრავალია ასეთი ამაღელვებელი ამბავი. ადამიანს რომ სიამაყისა და სიხარულის ცრემლს ჰგვრის.

ასეთივე სიხარული განიცადა გმირის დედამ, მთელმა ოჯახმა, სოფელმა, მშობლიურმა ვანის რაიონმა, რესპუბლიკამ, მთელმა მრავალეროვანმა ქვეყანამ, როდესაც მამაცმა და ნიჭიერმა პოლკის მეთაურმა მიხეილ დიასამიძემ სტალინგრადის გადამწყვეტი სტრატეგიული უმძიმესი ბრძოლების დროს უმაღლესი მთავარსარდლის გულშიჩამწვდომი დეპეშა მიიღო: „დიდად ვამაყობ თქვენი შეუპოვარი ბრძოლით. არც ერთი ნაბიჯი უკან!...

ი. სტალინი".

მეთაური ოთხჯერ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ დატოვა აგრესორის განადგურებამდე.

მიხეილ დიასამიძემ კიდევ მრავალჯერ ასახელა თავისი სამშობლო, ომის შემდეგაც გმირ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში ხანგრძლივი სამსახურის დროს. მის დიდ ოჯახს კი ორი ოფიცერი — სოციალისტური სამშობლოს საიმედო დამცველნი შეემატა. ისინი მზად არიან ასახელონ მშობლიური ხალხი, მტკიცედ დაიცვან მშვიდობა. რაოდენ საჭიროა ეს ახლა, როდესაც ამერიკის ავანტიურისტული იმპერიალიზმი მსოფლიოში ბატონობის ახალი პრეტენდენტია და ბირთვული ომის გაჩაღებით ემუქრება მშვიდობისმოყვარე ადამიანებს.

ამჟამად მიხეილ დიასამიძე ქ. კურსკში ცხოვრობს. ახლახან ომის სახელოვან ვეტერანს ქალაქის საზოგადოებრიობამ დაბადების 70 წელი გადაუხადა. მშობლიური ვანის რაიონის ხელმძღვანელობამ გმირ იუბილარს გულითადი მისალოცი დეპეშა გაუგზავნა.

ამ ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში დამკვიდრდა ახალი სახალხო დღესასწაულები: „დედა", „უკვდავება", „ახალგაზრდობა", რომლებიც ჭეშმარიტ სოციალისტურ ტრადიციად იქცა, როგორც შრომისა და ხალხთა საბრძოლო დიდების, მეგობრობის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ზეიმები.

ყოველწლიურად იმართება ამაღელვებელი ინტერნაციონალური დღესასწაული სოხუმის რაიონის სოფელ ფსხუში. იგი ეძღვნება გმირი წითელი არმიის მიერ ფაშისტ დამპყრობლებისაგან სოფლის განთავისუფლებას. აფხაზეთის ეს მაღალმთიანი დასახლებული ადგილი დიდი კავკასიონის სანჭაროს უღელტეხილის სამხრეთ ფერდობზე, ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს.

სანჭაროსა და კავკასიონის სხვა უღელტეხილებთან წითელი არმიის გმირული ბრძოლების ისტორიული მნიშვნელობა მარტო ამიერკავკასიის მოძმე ხალხთა შეუვალი მტკიცე დაცვით კი არ შემოიფარგლებოდა, ისინი უშუალოდ და ოპერატიულად იყვნენ დაკავშირებულნი სტალინგრადის ეპოპეასთან, სადაც განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ახალი საზოგადოების სამხედრო ხელოვნების უდიდესი უპირატესობა.

ზეიმი სოფელ ფსხუში შრომისა და ფრონტული ჰეროიკის ნამდვილ დღესასწაულად იქცა.

აქ თავი მოიყარეს ბრძოლისა და შრომის ვეტერანებმა, მაღალმთიანი სოფლის მთელმა მოსახლეობამ. ბევრმა იცნო თავიანთი განმათავისუფლებლები. შეხვედრა იყო ამაღელვებელი. ბრძოლებსა და შრომაში გამარჯვებულთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

სოფლის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე — ეკატერინე ფსხუ (მისი გვარი სოფლის სახელს ემთხვევა) სოფლის განმათავისუფლებლებს XI ხუთწლედის გეგმების რეალიზაციის საქმეში მშვიდობიან დამკვრელურ შრომით წარმატებაზე ესაუბრებოდა. შეძლებულად და ბედნიერად ცხოვრობს აქ ყველა მშრომელი ადამიანი.

კარგად იციან სოფლის მცხოვრებლებმა, თუ რა დიდი ტრაგედია დატრიალდა აქ ჰიტლერელთა ერთკვირიანი ბატონობის დროს. ისე როგორც ყველგან, ოკუპანტებმა ულმობლად გაძარცვეს 66 კოლექტიური ობიექტი, 78 საზლკარი, სიმინდის ყანა. სკა. მშრომელებს მთლიანად წაართვეს საქონელი, შინაური ფრინველი, მარცვლეული, კარტოფილი, თაფლი. მათი მხეცობა ხომ ცნობილია ყველასათვის. აქ მძვინვარებდა ოსვენციმისა და ბუჰენვალდის საშინელებანი. ვინ იცის, რამდენი საბჭოთა ადამიანი დაიღუპებოდა, ოკუპანტებს რომ დასცლოდათ!

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჰიტლერელთა ვერაგული მოქმედება მათ მიერ ოკუპირებული კავკასიის მიწაწყალზე.

ქ. ნალჩიკში გესტაპომ მხეცურად აწამა და შემდეგ თავის 10 წლის ვაჟიშვილთან ერთად ულმობლად დახვრიტა ჩვენი თანამემამულე, პატრიოტი ქალი, ონის რაიონის სოფელ ცედისის მკვიდრი ევგენია მელიტონის ასული მაისურაძე. ევგენია მაისურაძის თავდადების ამბავი, საარქივო მასალებზე დაყრდნობით, გააშუქა და დოკუმენტური მოთხრობა „ჯვარცმული სიცოცხლე" შექმნა ჟურნალისტმა ზაურ ფიფიამ.

გმირი ქალის სახელი შეტანილია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში. სოფელ ცედისის საშუალო სკოლას, სადაც ის აღიზარდა, უეჭველად უნდა მიენიჭოს ევგენია მაისურაძის სახელი.

რა მშვენივრად თქვა ამის შესახებ ამხ. ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ: „არცერთი სახელი არ უნდა დაიკარგოს, თუნდაც პატარა სვეტში, თუნდაც პატარა დაფაზე უნდა ამოიკვეთოს და თაობიდან თაობას გადაეცეს ნიშნად იმისა, რომ ყოველი გმირი — ეს სამარადისო ხსოვნაა, ეს უკვდავება მარადისობაში დაუვიწყელი გმირი — ეს უმაღლესი ზნეობრიობის გამოხატულებაა ახალი თაობებისათვის".

16000-ზე მეტი მანდილოსანი წავიდა ფრონტზე დედასამშობლოს დასაცავად. ბევრი გმირი ქართველი ქალის უკვდავ სახელს იცნობს ჩვენი ქვეყანა. მაგრამ იმ დედათა სახელებიც, რომელთა შვილებმაც გამარჯვება, თავისუფლება მოგვიტანეს მტერთან სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლებში. ხომ ასევე უკვდავია ისტორიაში.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ პოეტი ქალის მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული სიტყვები: „ასწიეთ მაღლა, აიტაცეთ ღრუბელთა ზედა, ქალი მებრძოლი, ქალი დედა, ქალი ლეგენდა".

ბევრი კეთილისმსურველი ადამიანის აზრით, კარგი იქნებოდა, რომ მუზეუმებში, საბრძოლო დიდების კომპლექსებში და ყველგან, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შეიქმნას დედების ოთახები და სტენდები, იმ დედების სამახსოვროც, რომელთა შვილებმა ბოროტზე კეთილის გამარჯვების ესტაფეტა აიტანეს კაცობრიობის უმაღლეს ოლიმპზე. დედები ხომ თავიანთ პირმშოებთან ერთად იბრძოდნენ! ახლაც. მშობლიურ საბჭოთა არმიაში სამსახურის, პატრიოტული და ინტერნაციონალური წმიდათაწმიდა მოვალეობის შესრულების დროს, დედები შვილებთან არიან და კანონიერად ამაყობენ ამით. საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს ხომ ადამიანები მშვიდობის იმედად აღიარებენ. დედები კვლავ აღზრდიან კომუნიზმის მშენებელ და მის მტკიცე დამცველ შვილებს — ახალ ადამიანებს.

ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის სიტყვით რომ ვთქვათ: „კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მეგობრების და მოკავშირეების უშიშროე[illegible] ზუნველყოფისათვის, გავზრდით საბჭოთა შეიარაღებული ძალების, — იმპერიალისტური რეაქციის აგრესიულ ზრახვათა შემკავებლის მძლავრი ფაქტორის, — საბრძოლო ძლიერებას".

გალაკტიონ პაიჭაძე,
სამამულო ომის ვეტერანი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამონაშვილი,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

# „ზოგსა ქალსა ქალი ჰქვია"...

## წერილები ჩემს ქალიშვილს

(წერილი მეორე)

სალამო მშვიდობისა, ჩემო კეთილო შვილო!

მიყვარს, როცა გიყურებ, როგორ ხატავ: ხელის ერთი-ორი მოძრაობით მოქნილი ხაზები ქაღალდზე ნაზ სახეებს ჰქმნის... მიკვირს, რომ შენ ხატვის უნარი დაგყვა. მთელი თვე რომ ვივარჯიშოთ, ვერც მე, ვერც დედაშენი რომელიმე შენი სურათის გადახატვასაც ვერ შევძლებთ, მაგრამ მაინც მგონია, რომ მეც ხელოვანი ვარ და აგერ უკვე თხუთმეტი წელიწადია მოთმინებით და შთაგონებით ვაქანდაკებ ქმნილებას, რომელიც ძალიან მინდა, რომ იშვიათი გამომივიდეს. ზოგჯერ საჭრეთელი ამისხლტება, ან ძლივს ამოკვეთილი ფორმა და ხაზი გამიქრება. ეს კი იმიტომ ხდება, რომ „მასალა", რისგანაც ქმნილებას ვქმნი, ადვილად არ მემორჩილება, თავის ნებას მიცხადებს. რა მინდა მივიღო მისგან? — არც მეტი, არც ნაკლები; მშობლის ოცნება. მე მშობლის ოცნებას ვაქანდაკებ და ყოველი ფორმის, ყოველი ხაზის გამოკვეთა საკუთარი სულის გადანერგვაც მგონია.

მაგას ჩემზე ამბობო, მეტყვი, — რა თქმა უნდა, შენს ჩამოყალიბებაზე ვლაპარაკობ, შენზე, როგორც ქართველ ქალზე. მე მჯერა, რომ ყველა ერის ქალს აქვს საკუთარი ნიშანთვისება და ხასიათი, რასაც ისტორიულად შემუშავებული ტრადიციები განსაზღვრავს. — იქნებ იცი, რა არის ქართველი ხალხის ღირსება? — უკვე მესმის შენი მოუთმენელი და თვითდაჯერებული — „ვიცი, ვიცი! ვიყო ნესიერი, ჭკვიანი, კეთილი!" — მოდი, უფრო გარკვევით გეტყვი: — ქალის მთავარი ღირსება მისი ნამუსი, ერთგულება და პატიოსნებაა.

ქალის და კაცის თანასწორობა დიდი ხანია ჩვენს ქვეყანაში დამყარდა, მაგრამ ქართველმა ხალხმა ოჯახის პატიოსნება ქართველ ქალში გაასაგნა, ქართველმა კაცმა — მამამ, ძმამ, ქმარმა, ვაჟიშვილმა — საკუთარი ღირსება ქალიშვილის, დის, ცოლის, დედის ღირსებას დაუკავშირა.

„ქალის ღირსება!" — რა ფასი აქვს ამ სიტყვებს მოჩვენებითი დიდობისაკენ მიზანსწრაფული ქალიშვილისათვის? — ზოგიერთისათვის, კი იქნებ არც არაფერი. დახარბებული და გაგანიერებული თვალებით შეჰყურებს უცხოურ ფილმებს: აი, თურმე, როგორ „შეიძლება" დროსტარება, და დაუწყებს თაყვანისმცემლებს ძებნას. გამოიცვლის ერთს, მეორეს, მესამეს. ლამაზად მოირგებს ტუჩებში სიგარეტს, დაიგემოვნებს კონიაკს, დაიხატავს თვალებს, წამწამებსა და წარბებს, შემოიტკიცავს შარვალს... არა, მე კი არ დავცინი ამ გოგონებს, ვშიშობ მათი ბედის გამო და ვერ გავამართლებ ვერცერთ დედასა და მამას, რომლებიც ყოველივე ამას თანამედროვე ქალიშვილების გატაცებად მიიჩნევენ. ეს გატაცება კი არა, ქალიშვილის დამახინჯებული აღზრდაა. ჩვენი ტრადიციები, რომლებმაც ქართველი ქალის ღირსება ერის კეთილშობილების სიმბოლოდ გვიქცია და თბილისის თავზე „ქართვლის დედის" მონუმენტი დაგვადგმევინა, ვერ ეგუება ქალის ასეთ ამჩატებულ ქცევებს. ღირსეული ტრადიციების დარღვევას სახელის გატეხა მოსდევს. ამას კი ნამდვილად სჯობია თავის გატეხა. სახელგატეხილი ქალი იგივეა, რაც ქვით დამსხვრეული ის კოკა, რომელიც ეს-ეს არის უკვდავების წყაროთი იყო სავსე. გავა წლები და, ვინ იცის, გატეხილმა სახელმა სად და როდის ამოყოს თავი, მოულოდნელად სად და როდის გაისისინოს, როგორც შურდულით ნატყორცნმა ქვამ და კარს მომდგარი ბედი დააფრთხოს. დიახაც, უნდა გაწყრნენ მამები და ძმები, როცა ქალიშვილი თოხარიკი ცხენივით უსაქმოდ ივლის პარკებსა და ქუჩებში, როცა დაინახავენ, როგორ წაუვლია მისთვის ქეჩოში ხელი ვიღაც დროსმატარებელს და წიწილასავით აქანავებს, ან პირიქით, ზედ ჩამოჰკიდებია ტომარასავით; ქალიშვილი კი ამას ითმენს ან მოსწონს კიდეც. დიახაც, უნდა დაიქუხოს მამამ, როცა თამბაქოს ბოლით გაჟღენთილი და კონიაკის სუნით აბარბაცებული ქალიშვილი შინ გვიან ღამით ბრუნდება.

დიახ, მართალი იყო შენი ძმა, უარი რომ გითხრა თეატრში წაყვანაზე: ჯერ თმები ადამიანურად დაივარცხნე, მერე თეატრალურად ჩაიცვი და ისე წაგიყვანო. შენ გეწყინა: ყველა გოგო შარვლით დადის, მე რატომ მიშლითო...

ქალის ჭეშმარიტი სილამაზე, მისი შინაგანი თავდაჭერილობა, სინაზე და უბრალოებაა!!

ზოგს კი არ ესმის ტრადიციის ძახილი — თვალები უცხოური ტანსაცმლისათვის („ძონძებისათვის" — ასე უფრო ვამბობ ხოლმე) მიუშტერებია. მიყიდეთ!

ჩამაცვითო, — გაიძახის უხეშად. ეს ხმა კედლებს ხვრეტს, ფანჯრებიდან ქუჩაში გადის... და დიდი სახლის ყველა მეზობელს ესმის!

თუ ქალიშვილი ძონძებზე ფიქრით ტვინს დაიბნელებს და სიამოვნებათა საძებნელად თოხარიკი ცხენივით ირბენს, მაშინ, მართლადაც როგორ მოახერხებს თანამედროვე განათლებას ეზიაროს?! გამიგონია შენი და შენი ამხანაგების წუწუნი — რა გააჭირვეს მასწავლებლებმა საქმე, რა ეშმაკად გვინდა ფიზიკა, ქიმია? (ვინ კი იმაზე წუხს, რომ ისტორიას, ლიტერატურას, გეოგრაფიას ან უცხო ენას ასწავლიან). — ძალიან მსუბუქი მსჯელობაა. თანამედროვე ქალიშვილის აზროვნება, მსოფლმხედველობა და, საერთოდ, გონიერება თანამედროვე მეცნიერული ცოდნის დაუფლების პროცესში უნდა ჩამოყალიბდეს. ამასწინათ მე შენ ასეთი ამონაწერი წაგაკითხე: „განათლებული ქალი ქმრის, შვილების, ოჯახის, მოსამსახურეების, ერთი სიტყვით, ყველას წამებაა". შენ თავი შეურაცხყოფილად იგრძენი, ვინა სთქვა ესო.

ეს ჟან ჟაკ რუსომ თქვა. შენ ძალიან გაუნაწყენდი რუსოს. მეც მოკრძალებული ბოდიში შევუთვალე: უკაცრავად დიდო განმანათლებელო, ფილოსოფოსო და მოაზროვნევ, ბატონო რუსო! პატივს გცემთ, მაგრამ ჩემმა ქალიშვილმა, ჩვენი ქვეყნის ქალიშვილებმა უთუოდ უნდა შეიძინონ კარგი, ძალიან კარგი თანამედროვე განათლება, რადგან ჩვენ — ყველა მშობელს ერთად — გვწამს, რომ *განათლებული და კეთილად აღზრდილი ქალი ადამიანთათვის სიხარულის მიმნიჭებელია, ოჯახში ბედნიერების დამამკვიდრებელია.*

ოჯახი პატარა სახელმწიფოა. არ გაგათხოვებ მეთქი, ვიტყვი ზოგჯერ. შენ კი პასუხად კისკისებ, იცი, გეხუმრები. გათხოვება ძლიერ, გამოცდაგავლილ სიყვარულს უნდა მოჰყვეს. როგორც უმწიფარი ყურძნის ჭამა არ შეიძლება, ისე არ შეიძლება მოუმწიფებელი ქალის გათხოვება. ქალი კი მაშინ არის მოუმწიფებელი, როცა არც ასაკი შესრულებია, არც საჭირო განათლება შეუძენია, არც გრძნობები შეუმოწმებია, არც საოჯახო შრომისა გაეგება რამე და მხოლოდ მიყვარსო ამას გაიძახის. გახდება ასეთი უმწიფარი პატარა სახელმწიფოს (ოჯახის) მეთაური და, ვაი, თუ სულ აირ-დაირიოს „სახელმწიფო", დაშლამდეც კი მივიდეს. შენ თუ არ იცი, მე ხომ ვიცი, რა ადვილად იშლებიან უმწიფართა მიერ შექმნილი „პატარა სახელმწიფოები" სწორედ შექმნის პირველსავე წელს. მაგრამ შვილები? ჩემი აზრით, თუ ქალიშვილი არ ფიქრობს იმაზე, როგორ შვილებს გაზრდის, როგორი დედა და მეუღლე იქნება, არც უნდა გათხოვდეს.

ზოგიერთი კი, აქაოდა შეყვარებული ვარო, შინიდან გაიპარება და „შეყვარებულს" მალულად გაჰყვება. მაგრამ მერეღა იგებს, რომ თურმე გათხოვებას შვილების გაჩენა მოჰყვება, შვილებს კი გაზრდა სჭირდებათ. დაბნეული პატარა დედა, აბა, რა გამზრდელია შვილებისა? ამიტომ ადგება და, გუგულივით, შვილებს ბებიებსა და ბაბუებს მიუგდებს — თქვენ გაზარდეთო. ბებიები და ბაბუები, რა თქმა უნდა, იმისთვის არსებობენ, რომ შვილიშვილები უყვარდეთ, მაგრამ დედა ხომ იმისთვის არის, რომ შვილები გაზარდოს!?

*ქალის უმაღლესი საზრუნავი — პატიოსანი და შრომისმოყვარე შვილების აღზრდაა, მათში მამულიშვილური გრძნობის ჩანერგვაა!*

არ იფიქრო, ჩემო შვილო, რომ „ქართლის დედის" იმ დიდებულ მონუმენტში, რომელიც ჩვენი ეროვნული სიმბოლო გამხდარა, მხოლოდ ჩვენი წარსულია გასაგნებული. არა, მასში გასაგნებულია ჩვენი აწმყოც და მომავალიც. როცა მას შევყურებთ, იმაზე კი აღარ ვფიქრობთ, რომ იგი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია, არამედ იმაზე, როგორები არიან ქართველი ქალები, ქართველი დედები. შენ კი უნდა ირწმუნო, რომ იგი რომელიღაც დაკარგული დროის ქართველი ქალის ხატება კი არ არის მხოლოდ, არამედ შენი მომავალი ქალობის განსახიერებაცაა, ამ ძეგლში ჩაქსოვილი ხარ შენც, ისევე როგორც ყველა ქართველი ქალი.

„ზოგსა ქალსა ქალი ჰქვია, ზოგსა დიაცმაცუნაო", — ამბობს ქართული ხალხური ანდაზა. ვინ არიან დიაცმაცუნები? — შარახვეტია და გაქსუებული ქალები, თავკერძანი და უდარდელნი, კატასავით მოკრუსუნენი და ნარცისივით თავისთავზე შეყვარებულნი, უპასუხისმგებლონი და წუთიერ სიამოვნებას აყოლილნი. დიაცმაცუნები არიან ქალები, რომლებსაც არ შეუძლიათ ოჯახის მოვლა, კეთილი საქმეებისათვის ქმარშვილის, ახლობელთა შთაგონება, შვილების აღზრდა და რომლებსაც კარგად ვერ გაუცნობიერებიათ თავიანთი მამულიშვილური ვალი. არა, არ მინდიხარ, დიაცმაცუნა! დიაცმაცუნები მაშინ იზრდებიან, როცა მშობლები ფუჭ ოცნებებს ეძლევიან, დედობას და მამობას ივიწყებენ; ხოლო როცა მოგვიანებით გაახსენდებათ ქალიშვილი, რომელიც, თურმე, სოკოსავით უცბად გაზრდილა, უკვირთ, რა თავგასული და თავკერძა გამოვიდა, ჩვენ კი მისთვის რას არ ვაკეთებდითო, როგორი იმედი გვქონდაო, და, მაშინღა დაიქუხებს განრისხებული მამა — „ნებას არ მოგცემ!" სასოწარკვეთილი დედა კი ცრემლების ღვარს დააყენებს — „ეს რა გვიყავი, შვილო!..."

ამ ფიქრებით ვუვლი და ვძერწავ ჩემს იშვიათ ქმნილებას — მშობლის ოცნებას. „შენ ქალი ხარ, ქართველი ქალი! არ დაგავიწყდეს, რომ შენი ღირსება ამავე დროს ქართველი ხალხის ღირსებაც არის!" „ამას ვჩურჩულებ და თავდავიწყებით ვეძლევი შემოქმედებას. ხაზთა ჰარმონია, ფაქიზ ხაზთა სრული ჰარმონია, — აი რა მჭირდება მე, რომ ჩემს ქმნილებას ქართველი ქალის ღირსება ჩავუნერგო! მაგრამ რა ბედენაა ვაქანდაკო ქმნილება. ხომ არ დავემსგავსები იმ უიღბლო ანტიკურ ხელოვანს, რომელმაც ქალის იშვიათი ქმნილება გამოაქანდაკა, შემდეგ კი მასზევე შეყვარებულმა ჩაქუჩი შემოჰკრა და სასონარკვეთილმა შესძახა: „ამოიღე ხმა, რაღა!" კარგად ვიცი, ნამდვილი ადამიანი, ჭეშმარიტი ქალი ფუნჯით არ დაიხატება, საჭრეთლით არ გამოიძერწება, იგი უნდა აღზარდოს მშობლების განუწყვეტელმა ზრუნვამ, რასაც ქვეყნისა და მამულის წინაშე პასუხისმგებლობა ასაზრდოებს. *ასეთი დიდი და მაღალია ჩვენი მიზანი შენს მიმართ.*

ახლა ხომ გესმის, ჩემო შვილო, რატომ დაგიშლით უსაგნო დროსტარებას, რატომ აღგვაშფოთებს შენი წინდაუხედავი, მოუფიქრებელი ქცევები: ყოველი ასეთი საქციელით შენ თითქოს ჩვენი რწმენის დამსხვრევას ეცდები. აბა, როგორ დაგამსხვრევინებთ რწმენას, მაშინ ხომ ჩვენც დავიმსხვრევით, როგორც მშობლები! მაგრამ ისიც წარმოიდგინე, რა სიხარულს მოგვანიჭებს შენი კეთილგონივრული დამოუკიდებლობა. მერე რა, თუ რამ გამოუცდელობით შეგეშლება, თუ არ გინდოდა, და ასე მოხდა, ამიტომაც არსებობს სირცხვილის განცდა, განითლება, წუხილი, გულისტკივილი, თანაგრძნობა, აღიარება, ბოდიშის მოხდა და, საერთოდ, გულწრფელობა. ყველაფერი ეს, ჩემო შვილო, კეთილშობილების, ადამიანობის სამკაულებია, საკუთარი თავის შეგნებულად აღზრდის საშუალებაა. არავის წინაშე არასოდეს ითაკილო მათი გამოყენება.

— განა გვაქვს არჩევანი ჭეშმარიტ ქალობასა და დიაცმაცუნობას შორის? — არა, არა გვაქვს.

მაშ რაღა დაგვრჩენია? — ვიცხოვროთ ურთიერთგაგებით, და, როგორც წინა წერილში გწერდი, შენვე დაგვეხმარო შენსავე აღზრდაში. მოდი, ერთმანეთს დავეხმაროთ, რომ შენ ღირსეული ქალი გახდე, — ჩვენ კი ღირსეული მშობლები!

ტკბილ ძილს გისურვებ, ჩემო ძვირფასო, და თუ სიზმარს ნახავ, ნუ შეკრთები, თუ თამარ დედოფალი გამოგეცხადოს! შენი მამა.





ეროვნული
ბიბლიოთეკა



## უკვე აგრილდა

გრილი და წვიმიანი დღეებისათვის ლაბადას ბადალი არა აქვს. თუ ლაბადა თავისუფალი და განიერმკლავებიანია, ძალიან მოსახერხებელია სქელი ტრიკოტაჟის კაბასა და კოსტუმზე ჩასაცმელად. ლაბადა უნივერსალური სეზონური სამოსია, რომელიც ზაფხულშიც აცვიათ, გაზაფხულზეც და შემოდგომაზეც, თანაც მარტო ერთი წლისათვის არ არის გათვალისწინებული. ლაბადისათვის მთავარია მოხერხებულობა, მოდური ფორმა და სხვადასხვა დეტალი.

გთავაზობთ ჟურნალ „მოდიდან" მხატვარ-მოდელიორის ტ. მაკეევას ლაბადის სამ ნიმუშს.

# გიწვევთ საზეიმო მეგობრულ სუფრასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ჩიხირთმა

მრგვალად მოხარშული დედალი ბულიონიდან ამოიღეთ და ცოტაოდენი მარილი მოაყარეთ.

საშუალო ზომის 3-4 თავი ხახვი წვრილად დაკეპეთ და ერბოში, კარაქში ან, თუ ქათამი მსუქანია, თავად ქათმის ცხიმში (ცხიმი შეიძლება ბულიონსაც მოართვათ) მოშუშეთ. როცა ხახვი კარგად დარბილდება და შეყვითლდება, დაუმატეთ ორი სუფრის კოვზი პურის ფქვილი და 2-3 წუთი განაგრძეთ შუშვა. შემდეგ ეს მასა ჩაუშვით ბულიონში და წამოადუღეთ, თან ხშირ-ხშირად ამოურიეთ.

კერძი რამდენ ულუფადაც არის გათვალისწინებული, იმდენი კვერცხის გული კარგად ათქვიფეთ; ცხელი (მთლად მდუღარე არ უნდა იყოს) ბულიონი წვრილ, ნელ ნაკადად ჩაუშვით ათქვეფილ კვერცხში და თან სწრაფად, გამუდმებით ურიეთ, ამის შემდეგ შედგით ცეცხლზე და განაგრძეთ რევა. როგორც კი შეამჩნევთ, რომ წამოდუღებას აპირებს, ჩაუმატეთ (გემოვნებით) ძმარი, მარილი, წვრილად დაჭრილი ქინძი და გადმოდგით ცეცხლიდან.

ქათმის ხორცის ნაჭრები მიტანის წინ დადეთ მათლაფაზე და დაასხით ჩიხირთმა.

### ჩახოხბილი

ჩახოხბილისათვის, საერთოდ, ვარიაა საჭირო, მაგრამ ზოგი მოზრდილ ქათამსა და ბატკნის ხორცსაც კი იყენებს.

დაჭერით ხორცი, გარეცხეთ, ხელში შეწურეთ და შედგით საშუალო ცეცხლზე. დაჭერით წვრილად ხახვი. როცა ხორცი უკვე შერბილდება, წყალს ჩაიშრობს და ხრაკვას დაიწყებს (თუ ხორცი მსუქანი არაა, ჩაუმატეთ ცხიმი, უმჯობესია ერბო ან კარაქი), დააყარეთ ხახვი და განაგრძეთ შუშვა-ხრაკვა, ვიდრე ხახვი არ დარბილდება. გაფცქვენით პამიდორი, დაჭყლიტეთ (შეგიძლიათ პამიდორი არ გაფცქვნათ და სახეხზე დახეხოთ), დაჭერით წვრილად ოხრახუში (ზოგს ახალი ქინძის ჩაჭრაც უყვარს), რეჰანი, უყავით პამიდორს ყოველივე ეს და დაასხით მოხრაკულ ხორცს. წამოდუღებიდან 3-4 წუთის შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან.

### ხინკალი

გაცერით თეთრი პურის ფქვილი. ჩაახალეთ 1 კვერცხი და ცივი წყლით ოდნავ მაგარი ცომი მოზილეთ. შემდეგ სპეციალური საგორავით ან ბოთლით ცომი მაგიდაზე ან ფიცარზე გააბრტყელეთ, ჩაის თხელი ჭიქით თანატოლ ნაწილებად დაჭერით და კვლავ გააბრტყელეთ.

ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ 500 გრ ძროხის მსუქანი ხორცი. ხორცთან ერთად გაატარეთ 2-3 თავი ხახვი, 7-8 კბილი ნიორი და წიწაკა გემოვნებით. გამზადებულ ფარშს დაუმატეთ [illegible], კვლიავი — ,,ძირა" ([illegible] მცენარეა, კამის თესლსა ჰგავს), მარილი გემოვნებით და 1 ჩაის ჭიქა ცივი წყალი. ხორცმა რომ წყალი კარგად შეიწოვოს, მიღებული მასა დაახლოებით 10 წუთს ხელით ზილეთ. წინასწარ გაბრტყელებულ ცომის ნაჭრებზე დადეთ თითო-ორი ჩაის კოვზი სატენი და ორივე ხელით შუა ადგილას თავი მოუკარით, რაც შეიძლება წვრილი ნაოჭებით (ხინკალს რაც მეტი ნაოჭი აქვს, მით უფრო ფასობს. მაგალითად შეიძლება ჰქონდეს 24, 20, 16, 12 ნაკეცი), მერე ცომი გადაგრიხეთ, ზედმეტი თავი მოაგლიჯეთ და მრგვალი ფორმის ნაოჭიანი თავი თითით ოდნავ გააბრტყელეთ. შემდეგ მარილით შეზავებულ მდუღარე წყალში ჩაუშვით. ხინკალი მაშინვე წყალში ჩაიძირება. ერთმანეთს რომ არ მიეწებოს, ქვაბი ქურიდან აიღეთ და რამდენჯერმე შეატრიალეთ, როცა ხინკალი ზევით ამოტივტივდება, უკვე მზადაა, მაგრამ ხორცი რომ კარგად მოიხარშოს, მაინც ადუღეთ კიდევ 3-5 წუთი. გამზადებული ხინკალი ფრთხილად ამოიღეთ ქაფქირით და ფრიალა თეფშზე ან ლანგარზე დაალაგეთ, სუფრაზე ცხელ-ცხელი მიიტანეთ და თან შავი პილპილი მიაყოლეთ.

### კუჭმაჭი

ღორის, საქონლის ან [illegible]-ყვლის კუჭმაჭი მოვხარშოთ, ცოტა მუცლის ქონიც შევახარშოთ, დავჭრათ წვრილად. წინასწარ დანაყილი ნიორი, ხმელი ქინძი, წიწაკა, ქონდარი, მარილი (გემოვნებით). კუჭმაჭში კარგად ავურიოთ. შეიძლება დაემატოს ბროწეულის მარცვლებიც. შეკაზმვისას კუჭმაჭი ცხელი უნდა იყოს.

### ელარჯი

ღომი იხე გაცერით, რომ ფქვილი მთლიანად გავიდეს. გაცრის დროს ზემოდან, ხელით მოაშორეთ ჩენჩო. საცერში დარჩენილი ღერღილი მოათავსეთ ქვაბში და კარგად გარეცხეთ, რეცხვისას თავზე მოყენებული ქაფი გადაუწურეთ, გარეცხილ ღერღილს დაასხით ბლომად წყალი და შედგით მოსახარშად.

ქაფს მოიგდებს თუ არა, მოართვით და კარგად მოურიეთ. როცა ღერღილი მოიხარშება (ძალიან არ მოხარშოთ) ფქვილი ჩააზილეთ, შემდეგ თავდახურულ ქვაბში შუშეთ დაახლოებით 10-15 წუთი.

ფენებად დაჭერით ოდნავ შემჟავებული ჭყინტი ყველი ან ახალი სულგუნი (სულგუნს და ყველს მარილი ოდნავ უნდა კბენდეს) და ნელნელა შეაზილეთ ღომში. როდესაც ყველი კარგად ჩადნება, დაახურეთ ქვაბს თავი და ისევ 5-10 წუთი შუშეთ. შემდეგ ამოალაგეთ პატარა თეფშებზე და ცხელ-ცხელი მიიტანეთ სუფრაზე.

# ზეიმია, ზეიმი...



**ვასილ ტროპინინი (1776—1857)**

●

**„მემაქმანე“**

ვასილ ტროპინინი მიეკუთვნება XIX საუკუნის გამოჩენილ რუს პორტრეტისტთა რიცხვს და ითვლება რუსული ჟანრული ფერწერის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

იგი, ისევე როგორც კიპრენსკი, თავის პორტრეტებში წინა პლანზე აყენებს ადამიანის პიროვნულ ღირსებას, რომელიც წარმოჩენილია ვარევშული ფორმისა და შინაგანი სამყაროს შერწყმით.

20-იანი წლებიდან მხატვრის შემოქმედებაში საბოლოოდ მკვიდრდება ჟანრული ხასიათის ნაწარმოებები, რომელთაგან აღსანიშნავია „მრთველები“, „უკრაინელი ჭობით“, „მემაქმანე“.

1823 წელს, ბატონყმობის უღლისაგან განთავისუფლებული მხატვარი ქმნის ცნობილ სურათს „მემაქმანეს“, სადაც გადმოგვცემს თავისი თანამედროვის ინტიმურ სახეს ყოფით ცხოვრებაში.

ზოგი რამ ქართული სუფრის შესახებ

ოქტომბრის თვეში ქართველი და რუსი ხალხები ზეიმით აღნიშნავენ თავიანთი დამოყვრების 200 წლის თავს. ეს დღესასწაული მართლაც გრანდიოზულ ვითარებაში ჩაივლის, რამეთუ ჭეშმარიტად დიდი და უძლეველია დამეგობრებულ, თანასწორუფლებიან ერთა კავშირი, კავშირი დამყარებული ჩვენს ბრძენ წინაპართა მიერ.

ამავე თვეში თბილისელები აგრეთვე აღნიშნავენ უკვე ტრადიციად ქცეულ „თბილისობას“. რა ლამაზია ამ დღეს ჩვენი დედაქალაქი, აფერადებული მორთულ-მოკაზმული ქალაქელებით, საქართველოს ყველა კუთხიდან და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული სტუმრებით. ზეიმობს თბილის-ქალაქი, წელს ეს ზეიმი ორმაგი იქნება!

უკვე ტრადიციად იქცა ისიც, რომ თბილისობას თითქმის ყველა ოჯახში სუფრა იშლება. წინა დღეებში გამართულ საკოლმეურნეო ბაზრობაზე მოქალაქენი უხვად იძენენ სურსათ-სანოვაგეს, დგას ხილის მთები, მოედინება მაჭარი და ახალი ღვინო. შემოდგომის სურნელით დაბანგულა თბილისი.

ქართველები რომ სტუმართმოყვარე ხალხია, ამის მემილიონედ განმეორება აღარავის სჭირდება, მაგრამ თუ არ გვიწყენთ, გვინდა სტუმარ-მასპინძლობის ირგვლივ, ზოგი რამ შევახსენოთ.

მასპინძელსა მხიარულსა, მარნის კარი უჭრიალებს... მართლაც საამო სანახავია სტუმრის მომლოდინე ქართველი, მას იმ წუთებში ყველაფერი ავიწყდება, მზად არის სული ამოიძროს და სტუმარს მიართვას. დიახ, ასეა, მაგრამ ისეთი შემთხვევებიც ხომ ვიცით, როცა სტუმარმასპინძლობის აზარტს ბევრი შეუწუხებია; ხომ შეიძლება ხვევნა-კოცნითაც „დაალრჩო კაცი!“ — ზომიერება დედაა წესრიგისა, სიმტკბილობისა.

ქართული სუფრა მუდამ უხვი გახლდათ, მაგრამ წრეს არასოდეს გადადიოდა. ახლა კი... უამრავი ხორაგით დატვირთული წელში წყდება და იმტვრევა. ზოგჯერ პირდაპირი გაგებითაც მომხდარა, ასე, მართლაც ჩალეწილა თანამედროვე წერწეტა ფეხებზე შემდგარი მაგიდა.

დროს თავისი კორექტივები შეაქვს ადამიანთა ცხოვრებაში; ჩვენი, ადინამიის (უმოძრაობის) საუკუნეში ადამიანი ბევრს ველარ ჭამს; რაც სრულიად კანონზომიერი პროცესია: არ უნდა დაირღვეს ბალანსი — უნდა მიიღო იმდენი, რამდენსაც გასცემ ე. ი. იმდენი კილოკალორიის მქონე პროდუქტი მიირთვა, რამდენსაც ფიზიკური და გონებრივი შრომის შედეგად დახარჯავ. ერთერთი და მთავარი მიზეზი ალბათ სწორედ ესეც გახლავთ, რომ ასე მომრავლდნენ „მოდიეტენი“. ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების— გერონტოლოგიის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერები ერთხმად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თუ გვინდა დიდ ხანს ვიცოცხლოთ, უნდა ვიკვებოთ გონივრულად და ზომიერად.

ახლა, როცა საზეიმო სუფრაზე წამოვიწყეთ ლაპარაკი, გვინდა არც აქ დაივიწყოთ ეს წესი. ზომიერება და კვლავ ზომიერება!...

## როგორ გავაწყოთ სუფრა

ზოგს შეიძლება გაეცინოს, რას გვასწავლიან, რომელმა ქართველმა არ იცის სუფრის გაშლაო — მართალი ბრძანდებით; მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ დიასახლისების არმიას ყოველ წელს ახალი შევსება მოსდევს, თანაც ბევრი ახალბედა-ნორჩი დიასახლისი ისეთი დედის ნებიერი გახლავთ, რომ გათხოვებამდე „თითიც კი არ გაუნძრევია“ და, ახლა დედამთილ, რძალ-მულთან და ნაცნობმეგობრებთან თავის მოწონება უნდა. ჰოდა, ჩვენც ძირითადად მათთვის ვირჯებით:

ყდაზე: გარეკანის პირველ გვერდზე — ქ. თბილისის №-ე საშუალო სკოლის ხატვის მასწავლებელი ნ ე ლ ი მ გ ე ლ ა ძ ე. დ. ი ა კ ო ბ ა შ ვ ი ლ ი ს ფერადი სლაიდი; მეოთხეზე — ვასილ ტროპინინი — „მემაქმანე“.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. ბაფრინდაშვილი, ნ. ბურჯენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია. თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ქვანია, ა. ძლიერი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეჭირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ხუცია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-97. ხაერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4. 08. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 09. 83 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5. 8.

ტირაჟი 130 000. შეკვ. 1916. უე 07259.

უპირველეს ყოვლისა, საზეიმო სუფრა ქათქათა და ტკიცინა უნდა იყოს; კარგია აგრეთვე (ვისაც აქვს), ჩვენი ქართული ლურჯი, მოჩითული სუფრის გადაფარებაც.

გახსოვდეთ, ბორჯომი ძირითადად სამკურნალო წყალია, მისი სუფრაზე მასიურად მიტანა მიზანშეწონილი არ არის. ჯობია თქვენვე დაამზადოთ რაიმე ნაკლებტკბილი, უალკოჰოლო სასმელი, ხილის წვენი და მინის ან ბროლის ჭურჭლით მიიტანოთ. თუ სუფრაზე რამდენიმე სახის ღვინის, კონიაკისა და ლიმონათის დადგმას აპირებთ, მაშინ ისინი რამდენიმე ადგილზე ჯგუფად ჩადგით.

საუზმეული: ყველი, ძეხვი, შაშხი დაჭერით თხელ სიფრიფანა ნაჭრებად და პანია თეფშებზე ან მოგრძო ლანგარებზე დაალაგეთ. სალათები და ფხალეულიც ასევე პატარა თეფშებით ან ლანგარებით მიიტანეთ, აკურატულად შემოწმინდეთ ნაპირები, მორთეთ მწვანილის ფოთლებით, ბროწეულით, კონახურით, თხლად და ალყა-ალყა დაჭრილი ხახვით და ა. შ. აქაც ზომიერება დაიცავით, ეცადეთ რესტორნულად მორთული არ გამოგივიდეთ.

შემდეგ სუფრაზე სასურველია შემოვიტანოთ პირველი თავი წვნიანი კერძი, ვთქვათ, ჩიხირთმა, ჩიხირთმა მიიტანეთ მომცრო-ღრმა თეფშებით ან დიდი ფინჯნებით.

ყოველი ახალი კერძის შემოტანის წინ, აალაგეთ უკვე მოტანილი კერძიანი ლანგრები. ამით თავიდან აიცილებთ სუფრის სანოვაგით გადატვირთვას, თანაც სტუმრები მომდევნო კერძს უფრო მიეხალისებიან.

ნუ ეცდებით, ხელსაწმენდები ორიგინალურად დაკეცოთ და დაამრგვალოთ, ასეთი რამ რესტორნებს უხდება. ოჯახში გაშლილ სუფრაზე კი ერთგვარი ინტიმი უნდა იგრძნობოდეს,ისე, რომ, სადაც — — სამკუთხედად დაკეცილი ხელსაწმენდი თეფშს გვერდით მოუდეთ; დანა დადეთ მარჯვნივ (გალესილი პირით თეფშისაკენ), ჩანგალი კი — მარცხნივ, თითოეულ კაცზე დაიდება ორი-ან სამი ჯერ დიდი, მერე კი მომცრო თეფში, თეფშების წინ ვდებთ ასევე ორ ან სამ სასმელ ჭიქას.

ყვავილები დაბალ ლარნაკებში ჩაალაგეთ, და ორ-სამ ადგილზე დადგით, თან ის, გაიანგარიშეთ, რომ ვინმეს ხელი არ შეუშალოს; თუ საშუალება გექნებათ ლარნაკიანი ყვავილების მაგივრად, თითოეული თეფშის გვერდით დადეთ თითო ყვავილი; (უმჯობესია მიხაკი, რადგან იგი გვიან ჭკნება). ეს ძალიან უხდება სუფრას, თანაც სტუმრები დატკბებიან ხშირად ყვავილის ხელში აღებით. თუ მიხაკები არა გაქვთ, შეგიძლიათ უბრალოდ, რაიმე ლამაზი მცენარის პაწია რტოებიც დაალაგოთ.

სამარკო ღვინო უმჯობესია მისივე ბოთლებით მიიტანოთ; ჩვეულებრივი ჩამოსასხმელი კი თიხის, მინის, ან ბროლის ჭურჭლით.

ეცადეთ თეფშები ჩუმად, უხმაუროდ ცვალოთ; თუ სუფრას რამდენიმე ადამიანი ემსახურება, ხმამაღლა ნუ ღაიწყებთ გადაძახილ-გადმოძახილს აბა, ეს მომაწოდე, აბა ეს დამიჭირეო და ა. შ.

ბედნიერ ზეიმს გისურვებთ, მეგობრებო!

ნ. სიმონიძე





ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი 761